

# ქრისტე აღდგა, გიხაროდენ!


# საქართველოს რესპუბლიკა




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.


შაბათი, 3 აპრილი, 2010 წელი.

№62 (6428)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## რაც იყო და აღარ არის...

რეპორტაჟი იერუსალიმიდან



6

The Washington Times



8

## საქართველოს შურისძიების ეშინია









## „ლიბერალეს – იუბერ ალეს“,

3

**ანუ საქართველოს შორენ-ეკა-ნანკაზაცია გრძელდება!**

რუსეთმა მიზანს კიდევ ერთხელ მიაღწია:



## დღეს საქართველოში არა დეოკუპაციის, არამედ ახალი რუსული აგრესიის საკითხი განიხილება

4



7

## ინფორმაცია

### არჩევნებში 26 პარტია ჩაება

**არჩევნებში მონაწილეობის მიღებასთან დაკავშირებით ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში შესაბამისი განაცხადი ამ დროისთვის 26 პოლიტიკურ პარტიას აქვს წარდგენილი.**

**როგორც ცესკოში განაცხადეს, 30 მაისის არჩევნებში მონაწილეობის სურვილი საქართველოს დემოკრატიულმა პარტიამ, „მომავალმა საქართველომ", ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ (ედპ), მერაბ კოსტავას საზოგადოებამ, პოლიტიკურმა მოძრაობა „სოლიდარობამ", გაერთიანება „სამშობლომ", პოლიტიკურმა ორგანიზაცი „მამულმა", საქართველოს მწვანეთა პარტიამ, მოქალაქეთა გაერთიანება „ჩვენი საქართველო — თავისუფალმა დემოკრატებმა", საქართველოს რესპუბლიკურმა პარტიამ, „ახალმა მემარჯვენეებმა", „სახალხო დემოკრატებმა", პარტია „ჩვენმა ქვეყანამ", „ქრისტიან-დემოკრატიულმა ალიანსმა", „ქრისტიან-დემოკრატიულმა სახალხო პარტიამ", საქართველოს მშრომელთა საბჭომ, „ქართულმა დასმა", „სრულიად საქართველოს სახალხო ალიანსმა", გაერთიანებამ „ჩვენ თვითონ", მოძრაობამ „სამართლიანი საქართველოსთვის", „ნეიტრალურმა საქართველომ", „საქართველოს მშრომელთა უფლებების დაცვის პარტიამ", „სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატთა ნაციონალურმა პარტიამ", „კონსერვატიულმა პარტიამ", პოლიტიკურმა მოძრაობა „თავისუფლებამ" და „საქართველოს გზამ" გამოთქვეს.**

**ცესკოში შესაბამისი განაცხადი ჯერ არ წარუდგენია მმართველ გუნდს.**

### ურთიერთგაგების მემორანდუმს ოთხი პარტია შეუერთდა

**მეორე არხთან დაკავშირებით დადებულ „ურთიერთგაგების მემორანდუმს„ კიდევ ოთხი ოპოზიციური პარტია შეუერთდა. ამის შესახებ განცხადება საპარლამენტო უმრავლესობის წარმომადგენელმა ჩიორა თაქთაქიშვილმა გააკეთა. როგორც მან აღნიშნა, მემორანდუმს ხელი მოაწერეს ახალმა მემარჯვენეებმა, რესპუბლიკელებმა, საქართველოს გზამ და მრეწველებმა.**

**თაქთაქიშვილი ოპოზიციის ამ ნაბიჯს მიესალმება და აცხადებს, რომ „ეს არის კიდევ ერთი დადასტურება იმისა, რომ მეორე არხის პოლიტიკურ არხად გადაკეთება სწორი ნაბიჯი იყო". ამასთან მან კატეგორიულად უარყო გავრცელებული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით რომ შესაძლოა არხი 30 მაისის არჩევნების შემდეგ დაიხუროს.**

**— არხის არა თუ დახურვა, არამედ გაუმჯობესება იგეგმება. ამიტომაც მე ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარვყოფ. საზოგადოებრივი მაუწყებლის ბაზაზე პოლიტიკურ არხად გარდაქმნილმა მეორე არხმა საზოგადოებაში უკვე მოიპოვა პოპულარობა და მისი კიდევ უფრო გამრავალფეროვნება და ტექნიკური აღჭურვილობით გაუმჯობესება იგეგმება, — აცხადებს თაქთაქიშვილი. რაც შეეხება მეორე არხის სამაუწყებლო ზონის დაფარვას მთელი ქვეყნის მასშტაბით, როგორც თაქთაქიშვილი აცხადებს, ამ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს და წლის ბოლომდე ამ არხით სარგებლობის საშუალება საქართველოს ძირითად რეგიონებს შეეძლებათ.**

### პრაიმერში მონაწილე პარტიების რიცხვი იზრდება

**პრაიმერში მონაწილე პარტიების რიცხვი იზრდება. როგორც პრაიმერის ინიციატორ „ეროვნული საბჭოში" განაცხადეს, პრაიმერში მონაწილეობის სურვილი კიდევ ექვსმა პარტიამ გამოთქვა.**

**როგორც „ეროვნულ საბჭოში" განმარტეს, მათგან პოლიტიკურ ასპარეზზე აქტიურად მოღვაწე პარტია არც ერთი არ არის.**

### სუბარი იმედგაცრუებულია

**სოზარ სუბარი „ალიანსში" გაწევრებით მეტ-ნაკლებად იმედგაცრუებულია. როგორც სუბარმა ტელეკომპანია „მაესტროს" ეთერში საუბრისას განაცხადა, ალიანსში ყოფნის რამდენიმე თვის თავზე რასაც მასში გაწევრების დროს ფიქრობდა „რაღაცნაირად ვერ განხორციელდა".**

**— ამომრჩეველს არ მოვატყუებ. როცა სახალხო დამცველის პოსტიდან წამოვედი, არ დავმალავ, რომ ბევრი შემოთავაზება მქონდა, მაგრამ „ალიანსში" მივედი, რადგან მიმაჩნდა და იმედი მქონდა, რომ იქ დიდი ერთობა შედგებოდა, თუმცა რასაც მაშინ ვფიქრობდით, რაღაცნაირად ვერ განხორციელდა. შეიძლება ზოგი რამ ჩემი ბრალი იყო, რაღაც კი იმის, რომ ზოგმა ამბიცია ვერ დავთმეთ, — განაცხადა სუბარმა.**

**მისივე განმარტებით, „ალიანსელებს" „დღეს შეუძლია უთანხმოებები გვერდზე გადადოს და ურთიერთობებში გარდატეხა შეიტანონ".**

ჯი-ეიჩ-ენი

## თვალსაზრისი

# გიჟვრაცუული „შორი დამიზნების პოლიტიკა", ანუ სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესო

**აშშ-ის აგრესიული წრეები, რომლებიც საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ ახლა რუსეთის დანგრევაზე ოცნებობენ, მისი საძირკვლიდან აგურების გამოცლას ისევ თავიანთ მარიონეტ ქართველებს ავალებენ. აბა, სომხები ან აზერბაიჯანელები ხომ არ გაიგიჟებენ თავს ოკეანისგაღმელთა ინტერესებისთვის, საკუთარი ინტერესების საზიანოდ?! ისე, სომხებს უფრო მართებდათ, თავი დაევალდებულებინათ ამერიკელების გულისათვის, რადგან ამ უკანასკნელებმა, თურქეთის განაწყენების რისკის ფასად, სომხების გენოციდი აღიარეს, მაგრამ სომხები გიჟვრაცუები ხომ არ არიან?! აგერ არ არიან გიჟვრაცუები?!**

საქართველოს ხელისუფლება რუსეთის მიმართ ბილწსიტყვაობიდან უკვე ძირგამომთხრელ მოქმედებაზე გადადის. ამ მოქმედების პირველი ნაბიჯი 2008 წლის აგვისტოს პროვოკაციული ომი იყო. შემდეგი ნაბიჯები, ჩანს, ჩრდილოეთ კავკასიაში არეულობის გამოწვევა იქნება. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა კავკასიის ხალხებისათვის ტელეარხის გახსნის მცდელობა, რომელიც ჩაუფლავდათ ფრანგების გონივრული მოქმედების შედეგად; ჩრდილოეთ კავკასიის „რესპუბლიკებთან" პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირების დამყარების შეთავაზება, რუსეთის ცენტრალური ხელისუფლების გვერდის ავლით; ჩერქეზების გენოციდის ასაღიარებლად თბილისში კონფერენციის მოწვევა და ა.შ. აგვისტოს ომის შედეგი ხომ უკვე მოვინელეთ: ახალი ტერიტორიების დაკარგვა, ფაქტობრივად დაკარგულის იურიდიულადაც გაფორმება, ასობით ახალგაზრდის უაზროდ შეწირული სიცოცხლე, ათეულ ათასობით ახალი დევნილის გაჩენა და სხვა უბედურება. მაგრამ ის, რასაც რუსეთისადმი ახალი მტრული ნაბიჯები უქადის საქართველოს, აგვისტოს ომის შედეგი მონაგონი იქნება. ამიტომ გვაფრთხილებს პარტია „ნეიტრალური საქართველოს" თავმჯდომარე ბ-ნი ვალერი კვარაცხელია: „შედეგები შეიძლება ისეთი მძიმე იყოს, რომ 2008 წლის აგვისტოს მოვლენები სრულიად უწყინარ საბავშვო თამაშად მოგვეჩვენოს".

სააკაშვილისა და მისი გუნდის ავანტიურისტულ „პოლიტიკას" ბ-ნი ვალერი იმით ხსნის, რომ „ახლა სააკაშვილი ისეთ დღეშია, ყველაფერზე ხელს მოაწერს, ოღონდ თავი გადაირჩინოს... ამათ ხელისუფლება თუ ვერ შეინარჩუნეს, ადვილი შესაძლებელია, რომ გუანტანამოს ციხეში თუ არა, რომელიმე მსგავს დაწესებულებაში აღმოჩნდნენ, ამიტომ არ არსებობს ავანტიურა (პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო თუ სხვა სახისძ, რომელსაც ესენი ხელს არ მოაწერენ" (იხ. სტატია „სამგლე გოჭი", გაზეთი „პროკლამაცია" ტ 12, 2010ძ.

სააკაშვილისა და მისი გუნდის მხრივ ასეთი სამგლე გოჭობა, ასე თუ ისე, ახსნადია: ისინი თოჯინები არიან და თავიანთი მანიპულატორების ნებას ასრულებენ. რომ არ შეასრულონ, გუანტანამოს აქეთ დაატოვებინებენ. ამიტომ ორ ცეცხლშუა არიან. მაგრამ როგორ ავხსნათ ასეთივე სამგლე გოჭობა ე.წ. „პოლიტოლოგების", „ექსპერტების", „ჟურნალისტებისა" და სხვა ადამიანების მხრივ, რომელთაც გუანტანამოს ციხის მსგავსი დაწესებულება არ ემუქრებათ და მაინც უპასუხისმგებლოდ იქცევიან? გასაგებია, რომ ეს უბედურები საკვები ჭიპლარით, როგორც უშობელი ბავშვი დედის საშოს, ამ გაწირულებთან მიბმული არიან, მაგრამ უღირთ ეს ნასუფრალი იმ საშინელ რისკად, რასაც დედაბუდიანად, ერიან-ბერიანად ატომურ აპოკალიფსში დანაცრება ჰქვია?! მაგრამ, ეტყობა, რისკიანი ადამიანები არიან და შამპანური უყვართ: „ვინც არ რისკავს, შამპანურს არა სვამს"!

ექსპერტს კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძეს, მაგალითად, მისასალმებლად მიაჩნია საქართველოს პარლამენტის სურვილი, აღიაროს, რუსეთის გაღიზიანების მიუხედავად, ჩერქეზების გენოციდი: „საქართველოს მხრიდან მათთვის დახმარების ხელის გაწოდება და ჩერქეზების ტრაგედიაზე ასეთ მაღალ დონეზე საუბარი მისასალმებელია. მსგავსი ტიპის მიმართვები მსოფლიოში მრავლად მოიპოვება. გაგახსენებთ სომხეთის აქტივობას, რომელმაც გამოხმაურება ჰპოვა და საფრანგეთის, შვედეთისა და ამერიკის პარლამენტებმა სომხეთის გენოციდზე რეზოლუციები მიიღეს. თუ სომხების მიმართ შეიძლება რეზოლუციების მიღება, რატომ არ შეიძლება ჩერქეზების მიმართ?!"

ჯერ ერთი, საქართველო არც საფრანგეთია, არც შვედეთი და არც, მით უმეტეს, ამერიკა. და მათაც კი დიდხანს ფეხი ითრიეს, რომ სომხეთის მოთხოვნა, მიუხედავად მისი ძლიერი დიასპორისა თუ „ლობისა" ამ ქვეყნებში, არ დაეკმაყოფილებინათ. აშშ-მა, მაგალითად, სომხების სიყვარულით კი არ აღიარა მათი გენოციდი, არამედ თურქეთის დასასჯელად, მისი პროირანული და ანტიისრაელური გადახრების გამო. რატომაც არა, ჩვენც დავსაჯოთ რუსეთი! თუმცა ხომ უკვე „დავსაჯეთ" 2008 წლის აგვისტოში! მოდით, ახლა თურქეთი დავსაჯოთ: მას, რა, ნაკლები ტერიტორიები აქვს ჩვენთვის წართმეული?! მხარი დავუჭიროთ ჩვენს „სტრატეგიულ პარტნიორ" ამერიკის შეერთებულ შტატებს და სომხების გენოციდი ვაღიაროთ! თუ ჩერქეზების მიმართ შეიძლება რეზოლუციების მიღება, რატომ არ შეიძლება სომხების მიმართ?! ისე, ალბათ, ყველას აჯობებდა, რეზოლუციები ჯერ ჩვენს მიმართ ჩადენილ გენოციდზე მიგვეღო, რაშიც, ბ-ნი მამუკასავე თქმით, ჩერქეზებს თურმე, ლომის წილი მიუძღვით:

„მინდა ობიექტური ვიყო და განვაცხადო, რომ აფხაზეთში ქართველების წინააღმდეგ ჩეჩნებზე უფრო მეტად ჩერქეზების წარმომადგენლები იბრძოდნენ. ისიც ძალიან კარგად მახსოვს, რომ როცა 2008 წლის აგრესია (ალბათ, სააკაშვილის მიერ ცხინვალის რეგიონში „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას" გულისხმობს, თორემ რუსების საპასუხო მოქმედებას აგრესიას ხომ ვერ დაარქმევდა?! - **ო.ხ.**ძ განხორციელდა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით ჩერქეზებმა საქართველოს საელჩოებთან რუსეთის მხარდამჭერი აქციები გამართეს... თუმცა, როგორც ვხედავთ, ამ აქციებით ჩერქეზებმა რუსეთისგან ვერაფერი მიიღეს (რა უნდა მიეღოთ, რუსები აღიარებდნენ მათს გენოციდს?! — **ო.ხ.**ძ და ალბათ, ცოტა გონს მოეგნენ".

მაინც რაში გამოიხატა, ბ-ნი ექსპერტის აზრით, ჩერქეზების „გონს მოსვლა"?

რაში და იმაში, რომ თურმე დღესაც, თბილისში, სადაც ქართველები მათს გენოციდს აღიარებდნენ, ისინი, ქართველების წინააღმდეგ, კვლავ აფხაზების დამოუკიდებლობას უჭერდნენ მხარს: „ასევე მნიშვნელოვანია, რომ ჩერქეზულ დელეგაციაში, რომელიც თბილისში იმყოფებოდა, არიან ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ აფხაზები დამოუკიდებლად უნდა იყვნენ".

მაგრამ არა უშავს: სწავლაში — ზარმაცი, ცეკვაში — მამაციო. გაიზრდებიან და გონს მოვლენ. მანამდე, მთავარია, ჩერქეზი ხალხის გული მოვიგოთ, რუსმა ხალხმა კი, თუ გაგვინაწყენდა, ცივი წყალი დალიოს: „შეიძლება გარკვეულწილად რუსეთი გაგვინაწყენდეს, მაგრამ საქართველო ჩერქეზი ხალხის გულს მოიგებს..."

რატომაც არა?! „შორი დამიზნებაც" პოლიტიკაა. მაგრამ იმ სიშორეს მიღწევა უნდა, თორემ ნათქვამია, სანამ პეტრე მოვიდოდა, პავლეს ტყავი გააძვრესო.

**ომარ ხახაშვილი**
**30.03.10**

## კონფლიქტის ზონა

### კოკოითი თანამემამულეებს ეპატიჟება

**ოს სეპარატისტთა ლიდერი ედუარდ კოკოითი ჩრდილოეთ ოსეთში მყოფ მოქალაქეებს ე.წ. სამხრეთ ოსეთში დაბრუნებისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღდგენით სამუშაოებში მონაწილეობის მიღებისკენ მოუწოდებს. კოკოითი ასევე აცხადებს, რომ ე.წ. სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებას ძალუძს ჩრდილო ოსეთიდან დაბრუნებული დევნილები სამუშაო ადგილებით უზრუნველყოს.**

— არ შეუქმნათ პრობლემები ჩრდილო ოსეთს. მე არ მესმის იმ ადამიანების, რომლებიც ჩრდილოეთ ოსეთში რაღაც მღელვარებებს იწვევენ და რაღაც შეღავათებს ითხოვენ. ამ დროს კი ჩვენთან მუშახელის ნაკლებობაა და სოფლები ცარიელია. არ არის დრო რომ საკუთარ სახლებში დაბრუნდეთ? — აცხადებს ედუარდ კოკოითი.

მისივე თქმით, დღეს დევნილები კითხვას არ უნდა სვამდნენ: — რა გააკეთა მათთვის ე.წ. სამხრეთ ოსეთმა, პირიქით, აჯობებს თქვენ თავს ჰკითხოთ — რა გააკეთეთ თქვენ თქვენი სამშობლოსთვის?! აჯობებს დაბრუნდეთ და დაეხმაროთ თქვენს თანამოძმეებს რესპუბლიკის აღდგენაში, — აცხადებს კოკოითი.

### ან რუსული საბუთები, ან დაპატიმრება

**ახალგორის ოკუპირებულ რაიონში ადგილობრივ მოსახლეობას რუსეთის საოკუპაციო რეჟიმი ავტომანქანების ტექნიკური დათვალიერების რუსულ საბუთს სთხოვს.**

როგორც ახალგორიდან ადგილობრივი მოსახლეობა იტყობინება, ახალგორის რაიონში მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლებმა მოსახლეობა გააფრთხილეს, რომ ავტომობილებს თუ რუსული ტექნიკური დათვალიერების საბუთი არ ექნება, რუს ოკუპანტებს და სეპარატისტების ე.წ. ძალოვან უწყებებს უფლება აქვთ მის მფლობელს ჯარიმა დააკისრონ.

მათივე თქმით, იმ შემთხვევაში თუ პირი დაკისრებულ ჯარიმას არ გადაიხდის ან ე.წ. ძალოვანები „აღმოაჩენენ", რომ საბუთი კვლავ არ აულია, მანქანის კონფისკაციის უფლება ექლევათ.

### აფხაზეთში საგანგებო მდგომარეობაა

**აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე დისლოცირებული რუსეთის საოკუპაციო საჯარისო ნაწილები საგანგებო მდგომარეობაზე გადავიდნენ. ამის შესახებ გალის რაიონიდან იტყობინებიან.**

წყაროს ინფორმაციით, ოკუპანტებმა პატრულირება ე.წ. საზღვარზე განსაკუთრებით გააძლიერეს და ადგილობრივი მოსახლეობა გააფრთხილეს, რომ ვინც საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე გადასვლას დააპირებს, აღდგომის შეხვედრა გალის ციხეში მოუწევთ.

საოკუპაციო ძალების საგანგებო რეჟიმზე გადასვლა აფხაზეთის მთავრობის გალის მიმართულების კოორდინატორმა თორნიკე კილანავამაც დაადასტურა.

ჯი-ეიჩ-ენი

განსჯა








# „ლიბერალეს – იუბერ ალეს“, ანუ საქართველოს შორენ-ეკა-ნანკაზაცია გრძელდება!

**გრძელდება და, რა თქმა უნდა, დაუფარავი ცინიზმის თანხლებით. აბა სხვა რა უნდა ვუწოდოთ იმას, თუ არა ცინიზმი, როცა ბზობის ბრწყინვალე დღესასწაულზე, ყველა მართლმადიდებელი ქართველისთვის წმინდა, საკრალურ დღეს, ე.წ. საზოგადოებრივი მაუწყებელი, განხილვის მთავარ თემად ყველა ნორმალური ადამიანისთვის და არა მხოლოდ ქართველი მართლმადიდებლისთვის შეურაცხმყოფელ – სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვას გვთავაზობს.**

თავიდან თითქოს მსგავსს არაფერს გვიქადდა ეკა კვესიტაძის, საზოგადოებისთვის ერთ-ერთი „უსაყვარლესი“ ჟურნალისტის, საავტორო „აქცენტები“, რადგან საუბარი მალხაზ გულაშვილთან, „ჯორჯიან თაიმსის“ მფლობელთან მის მიერ გასულ კვირაში დაფუძნებული „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ შესახებ დაიწყო, მაგრამ საკმარისი იყო, ოპონენტად მოწვეულ ჟურნალ „ლიბერალის“ რედაქტორს შორენა შავერდაშვილს „პირი გაეღო“, რომ ყველაფერი ნათელი გახდა – ეკა კვესიტაძემ, რომელმაც მანამდე მოასწრო მალხაზ გულაშვილის დაფუძნებული მოძრაობის „უკბილო“ გაქილიკება, „აქცენტების“ აქცენტი სოდომ-გომორის ცოდვის შვილების, უფრო მარტივად და ზოგადად გასაგებად თუ ვიტყვით, პედერასტების უფლებების დაცვისკენ მიმართა.

ჰოდა, დაიწყო, მაგრამ, რა დაიწყო!? – ორმა ქალბატონმა „ტანდემში“ რა აღარ აკადრა მალხაზ გულაშვილს: დემოკრატიის ანბანის უცოდინარი და სულელიო, ბიბლიის არწამკითხველი და ილიას, ვაჟას პუბლიცისტიკის აზრის ვერგამგებიო, ფაშისტიო და ა.შ. ამაზე ბატონმა მალხაზმა საკადრისი პასუხი ვერ გასცა, რადგან ქართველი კაცის რაინდობის დაუწერელი კოდექსი ქალის მიმართ, თუნდაც ასე ავად შემართულთა მიმართაც კი, პატივისცემას თუ არა, ზრდილობას მაინც გულისხმობს.

ერთადერთი „იარაღი“ გულაშვილის არსენალში ჟურნალების „ლიბერალის“, „ცხელი შოკოლადის“ და „მეს“ ცხელ-ცხელი ნომრები იყო, რომელთაგან ბოლო ორი დიდი ალბათობით პირველის, ანუ „ლიბერალის“ პატრონატით გამოდის. თუმცა, ასეც რომ არ იყოს, ამით საქმის არსი უცვლელია – სამივე ეს გამოცემა უმეტესწილად მიმართულია ყოველგვარი ქართულის, ტრადიციულის, მართლმადიდებლურის წინააღმდეგ...

**მაშინ რა გამოდის? თუ პედერასტები, ლესბოსელები და სხვა მათი მსგავსი ნაძირალების მიუღებლობა ფაშიზმია, სოდომ-გომორის პირისაგან მიწის აღმგველი, მათი მოსახლეობის დიდიან-პატარიანად ცეცხლში დამბუგველი, ყოვლის შემოქმედი მამა ღმერთიც ფაშისტი იყო?“**

მომიტევოს უფალმა თუ ამ მძიმე მარხვაში ზემოთ თქმულით მკრეხელობა ჩავიდინე, მაგრამ რა ვქნა – მე, მალხაზ გულაშვილი და, საბედნიეროდ, ჯერ კიდევ უმრავლესობაში მყოფი სხვა ქართველები თუ ფაშისტები ვართ იმის გამო, რომ ჩვენთვის მიუღებელი და შეურაცხმყოფელია პედერასტების ნებისმიერი სახით გაპარპაშება,და ეს ეკა-შორენების აზრით ფაშიზმია, მაშინ ვიმეორებ – გაუმარჯოს ასეთ ფაშიზმს!

„შორენები“, საზოგადოების შორენიზაცია ჩვენი პრობლემაა – იქით შორენა ბეგაშვილი „ანათლებს“ ყოველ კვირა ჩვენს შვილებს „წალმართი“ თუ, გაუკუღმართებული სექსის პროპაგანდით, აქეთ ნანკა კალატოზიშვილი ე.წ. „სიმართლის „დროში“ უარესს სჩადის და ესღა გვაკლდა – ლიბერალი შორენაც.

**დღეს ჩვენი ხელისუფლება ვითომ იმაზეა გაფაციცებული, რუსული ფული არ შემოიპაროს ქართულ პოლიტიკაშიო! რატომ არავის ადარდებს ის, რომ ჟურნალ „მეს“ დაფინანსების ერთი წყარო ჰოლანდიელი პედერასტების ფონდია (SI-OU-SI LGB, ანუ ჰოლანდიელი ლესბოსელების, გეებისა და ბისექსუალების ფონდი)? რა, ასეთი გამოცემების „უანგარო“ მოღვაწეობაც პოლიტიკა არ არის? პოლიტიკა, რომელიც ქართველი ახალგაზრდების გახრწნა-გადაგვარებას ემსახურება?**

იმდენჯერ მომიწია უკვე ამ თემებზე წერა, რომ მეგობარ-ახლობელთა დამუნათებაც ხშირად დამიმსახურებია – რა გააჭირე საქმე, მაგათი პედერასტი დედაც... თავში ქვა უხლიათო! მაგრამ არა, ვერ მოვისვენებ და არც იმათ მოვასვენებ, ვისაც, როგორც იტყვიან, თავად „არ ასვენებს გამჩენი“ და მერე რამდენნი, რა ბევრნი არიან ეს ე.წ. ლიბერალები?

**თეა თუთბერიძე, რომელსაც ჩექმა რომ გახადო, ჩლიქები (რეზო ამაშუკელის მიგნება) გამოუჩნდება, ეკა კვესიტაძე, ნანკა კალატოზიშვილი, შორენა ბეგაშვილი და შორენა შავერდაშვილი, დავით პაიჭაძე და ყოველივე ქართულისადმი ზიზღის გამო ტუჩებმოღრეცილი გიგი თევზაძე და, რაც მთავარია, ყველა ამათი მთავარი იდეოლოგი, ე.წ. „ახალი ქართველის“ შექმნის იდეით ტვინმოღრეცილი, იგივე რეზო ამაშუკელის მიერ შავ ალბინოსად „მონათლული“ ლევან რამიშვილი!**

თუ ვინმე გამომრჩა, თქვენ დაამატეთ, მკითხველებო! მე კი დასახელებულებსაც და გამორჩენილებსაც ვეტყვი, **რომ ის ლიბერალიზმი, რაც საჭიროა საზოგადოების განვითარებისთვის, გნებავთ დემოკრატია, ჯერ მამა ღმერთმა მოგვცა ძველ აღთქმაში 10 მცნების სახით და მერე უფალმა ჩვენმა, იესო ქრისტემ, – 9 ნეტარება ახალ აღთქმაში!**

ვისაც გეცოტავებათ ეს ყველაფერი და მეტი ლიბერალური დემოკრატია გნებავთ, მიბრძანდით იქ, „განათლებულ“ დასავლეთში, სადაც სოდომ-გომორის ცოდვის შვილებისთვის სამოთხეა შექმნილი, იქ შეუერთდით პედერასტების აღლუმებს, საქართველოს, 100 ათასი წმინდანის თბილისს არ წაგაბილწინებთ უწმინდურებს – **სიცოცხლის ფასადაც რომ დაგვიჯდეს, თითო-ოროლაც რომ დავრჩეთ მალხაზ გულაშვილისნაირი „ფაშისტები“, ზედ შევაკვდებით!**

მაგრამ, იმედია, აქამდე არ მივა საქმე, რადგანაც თავად უფალი არ დაუშვებს ამას. წერილს კი „სახალხო მართლმადიდებლური მოძრაობის“ დევიზით დავასრულებ, რომელი მოძრაობის ერთი რიგითი წევრი მეც გახლავართ: **„ყოველი თესლები გარე-მომადგეს მე, და სახელითა უფლისათა ვერეოდი მათ“ – (ფსალმუნი 117,10)**

დავით მხეიძე.

*P. S. ეკა კვესიტაძის „აქცენტების“ ბოლოს მალხაზ გულაშვილის რეპლიკაზე – პირადად მე არ მოგცემთ რუსთაველზე გეიაღლუმების ჩატარების უფლებასო, ლიბერალმა შორენამ მიუგო – საბედნიეროდ, ეს შენზე არ არის დამოკიდებულიო!*

*ჰოდა, ვისზეც არის, ან იქნება დამოკიდებული, ალიანსი ხარ თუ პრაიმერი, ანუ, ვინც თბილისის მერობაზე აცხადებთ პრეტენზიას, უაზრო პროგრამების ფრიალს, დიახ უაზრო, რადგანაც მთავარი პროგრამა საქართველოს სულიერების, ზნეობის გადარჩენაა, ერთ მარტივ კითხვაზე გაგვეცით პასუხი – გამარჯვების შემთხვევაში ( რაშიც ეჭვი არა მხოლოდ მე მეპარება, მაგრამ როგორც იტყვიან – ვისაც გჯერათ, გაგატარებთ) პედერასტების „პარადის“ გამართვის შესახებ,მერიაში შემოსულ განცხადებას, დააკმაყოფილებთ?*

*ანუ, „ლიბერალეს იუბერ ალეს“, თუ საქართველო ყველაზე მაღლა და უპირველესად, რაც გერმანულიდან სიტყვასიტყვითი თუ არა, შინაარსობრივი თარგმანის პერიფრაზი მაინც არის?!*

*დ. მ.*

პრობლემა

# თვითმმართველობებს თურმე მოწესრიგებული რეგულაციების სისტემაც არ ჰქონიათ!

## რისთვის სჯობს უწინარესად არჩევნებში მონაწილე კანდიდატთა ყურადღების მიპყრობა?

***ახლა როცა ქვეყანაში გააფთრებით იბრძვიან ადგილობრივი არჩევნების მოსაგებად, საზოგადოების დიდმა ნაწილმა და, შესაძლოა, პოლიტიკურმა პარტიებმაც კი ჯეროვნად არ იციან მმართველობისა და თვითმმართველობის ფუნქციები, ის, თუ რა არის ამ ორგანოების პრეროგატივა და რა მოთხოვნები უნდა წავუყენოთ მათ. განსაკუთრებით საინტერესოა, როგორია დღეს საქართველოში თვითმმართველობის მომსახურების სტანდარტები, სერვისის მიწოდების ხარისხი.***

ამ თემაზე მუშაობდა „კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი“, რომელმაც ფონდ „ღია საზოგადოება – საქართველოს“ მხარდაჭერით პროექტი სასტუმრო „შერატონ-მეტეხი პალასში“ წარადგინა. ექვსთავიანმა კვლევამ აჩვენა, რომ რეალურად საქართველოს თვითმმართველობებში არ არსებობს არანაირი საერთაშორისო დონის სტანდარტი (ინსტრუქცია, რეგულაციაძ, რომლითაც თვითმმართველობები უნდა ხელმძღვანელობდნენ. საერთოდაც 2003 წელს მიღებული ბრძანების – „ხარისხის მენეჯმენტის სისტემები – მოთხოვნები“ – თანახმად, სტანდარტის გამოყენება ნებაყოფლობითია.

ადგილობრივი თვითმმართველობის ფუნქციებში შემდეგი სახის მომსახურება შედის: ადგილობრივი მნიშვნელობის გზების შენახვა, მშენებლობა და განვითარების უზრუნველყოფა; დასახლებებში ქუჩების დასუფთავება, საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვებისა და უტილიზაციის სამუშაოთა წარმოების დაგეგმვა და განხორციელება; განათება; ავტომანქანის პარკირების ადგილის განსაზღვრა; სასაფლაოების მოვლა-პატრონობა; სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების არასამეწარმეო (არაკომერციულიძ პირის ფორმით შექმნა და წესდების დამტკიცება; ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში რესურსების მობილიზება; ქუჩების, მოედნების სახელდება და ნუმერაცია; სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფა; საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და საგზაო მოძრაობის დაგეგმარება.

აღნიშნული ფუნქციების უმეტეს ნაწილს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, როგორც წესი, ექსკლუზიურად ახორციელებენ, ან, უკიდურეს შემთხვევაში, დელეგირებული აქვთ ცენტრალური ხელისუფლებისგან. თუმცა ჩვენთან საქმე სახარბიელოდ მაინცდამაინც არ ყოფილა, ვინაიდან ზემოთ ჩამოთვლილი კომპეტენციების აბსოლუტური უმრავლესობა ან უშუალოდ ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა (მაქსიმალურად ცენტრალიზებულიაძ, ან განხორციელდა, ან ხორციელდება საზოგადოებრივი სერვისების სისტემათა ისეთი სახით პრივატიზაცია (კომერციალიზაციაძ, როცა არ არსებობს არავითარი, თუნდაც მინიმალური სტანდარტების დაცვის მოთხოვნა არც სახელმწიფოსა და არც ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან.

1990-იანი წლებიდან მოყოლებული სტანდარტიზაციის სფეროში არსებული სივრცის სრულყოფის მიზნით არაერთი საკანონმდებლო ცვლილება განხორციელდა, მაგრამ კვლევამ აჩვენა, რომ გარკვეული წარმატების მიუხედავად შესაბამისი ორგანოები კვლავ ძველი დროის სტანდარტებს იყენებენ. და, რაც მთავარია, ხშირად თვითმმართველობები ამა თუ იმ ქმედებისას არც ამ სტანდარტებსაც ითვალისწინებენ, რომ არაფერი ვთქვათ თანამედროვე, ევროპულ სტანდარტზე. ვთქვათ, როცა მუნიციპალიტეტი გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად ტენდერს აცხადებს, სულაც არ ითხოვს სტანდარტებს. მუნიციპალიტეტები ექსკლუზიურად მოქმედებენ და არ არსებობს სისტემური მიდგომა ამა თუ იმ მომსახურების დაგეგმარებაში. უმეტესწილად კი შესაბამის სამსახურში მომუშავე რამდენიმე ადამიანის პირადი გამოცდილებით ხელმძღვანელობენ.

„კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტის“ კვლევაში საკმაოდ ვრცლად და არგუმენტირებულად არის ასახული ყველა ის ნაკლოვანება, რაც თვითმმართველობებს ახასიათებთ. მათს რეკომენდაციაში კი ასეთი რამ წერია: „აუცილებელია, მუნიციპალური სერვისების სფეროში ეროვნულ დონეზე შემუშავდეს ერთიანი, უნიფიცირებული ჩარჩო დოკუმენტი, რომელშიც ევროპული ქვეყნების გამოცდილებაზე დაყრდნობით აისახება ის მინიმალურად აუცილებელი ნორმები და რეგულაციები, რომელიც სახელმძღვანელოდ გადაეცემა თვითმმართველობებს“.

სამწუხაროდ, საქართველოს თვითმმართველობები სერვისის მიწოდების თვალსაზრისით უკანასკნელ ადგილზეა ყოფილი სოციალისტური ბლოკისა და დსთ-ს ქვეყნებს შორის.

თბილისი ლამაზია, ახალგაზრდავდება, – ხშირად გვესმის ეს ეპითეტები. თუმცა აღმოჩნდა, რომ უკეთესი კანონის პირობებში ბევრად უკეთესად გვექნება საქმე. რაც შეეხება თვითმმართველობას, მე მაგალითად, არც ერთი თბილისის საკრებულოს დეპუტატის გვარი არ ვიცი ოპოზიციონერების გარდა. ალბათ, ბევრი ჩემს დღეშია. ხოლო როგორ ხდება ქალაქის პრობლემების დაგეგმვა-რეგულაცია, ამაზე ხომ საჯაროდ წარმოდგენა საერთოდ არა გვაქვს.

**ხომ არ აჯობებდა, იმ პოლიტიკოსებს და მათს კანდიდატებს, რომლებიც აქტიურად ჩაებნენ საარჩევნო მარათონში, სწორედ ამ კუთხით ეპოვნათ ხარვეზები და პრობლემების გადაწყვეტაზე ეზრუნათ, ვიდრე ის აბსურდული დაპირებები ეფრქვიათ, თუ როგორ შეიცვლება ქვეყანაში პოლიტიკური ბალანსი, თუ ადგილობრივ ხელისუფლებაში ისინი მოვლენ?!.. არადა, თვითმმართველობებს ჯერ თურმე რეგულაციის კანონიც კი არა აქვთ. ასე ვაპირებთ სწრაფვას ევროკავშირისკენ?**

თეა მოსია

ცხელი თემა

# რუსეთმა მიზანს კიდევ ერთხელ მიაღწია: დღეს საქართველოში არა დეოკუპაციის, არამედ ახალი რუსული აგრესიის საკითხი განიხილება

**ინტერვიუ ჩეჩნეთის რესპუბლიკა იჩქერიის დევნილ ვიცე-პრემიერთან ახმედ ზაკაევთან.**



**— ბატონო ახმედ, როგორ შეაფასებდით მოსკოვის მეტროს სადგურებში მომხდარ აფეთქებებს და ვის მიერ შეიძლება იყოს ისინი ორგანიზებული?**

— პირველ რიგში, მინდა, თანაგრძნობა გამოვუცხადო ამ საშინელი ტრაგედიის დროს დაღუპულთა და დაშავებულთა ახლობლებს. სამწუხაროდ, უკვე 10 წელია, რუსული საზოგადოება პუტინის მიერ წარმოებული ანტისახალხო, ანტიკონსტიტუციური, ადამიანის მოძულე პოლიტიკის მძევალია. ჩემი აზრით, მოსკოვში განხორციელებული ეს მორიგი მასობრივი მკვლელობა გარკვეულ პოლიტიკურ მიზანს ემსახურებოდა. ბოლო 10 წლის განმავლობაში, რაც პუტინი ხელისუფლებაში მოვიდა, ტერორისტული აქტები მუდმივად ხორციელდება – მოსკოვში, ვოლგოდონსკში... ამის შესახებ ყველამ იცის – დასავლელმა ლიდერებმაც და რუსულმა საზოგადოებამაც, თუმცა არავის არაფრის გაკეთება შეუძლია, პირველ რიგში – იმის გამო, რომ პუტინი, რომელიც 10 წლის განმავლობაში მიზანმიმართულად ანადგურებს ადამიანებს საკუთარი პოლიტიკური ამბიციების რეალიზაციისთვის, მოთხოვნადია თავად რუსულ საზოგადოებაში. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ვოლგოდონსკში და მოსკოვში საცხოვრებელი სახლების აფეთქებას მაშინ პუტინის ხელისუფლებაში მოსვლა დაარქვეს. პუტინის პოლიტიკურ არენაზე გამოსვლის დღიდან მას ტერაქტები თან სდევს. მოგვიანებით მომხდარი „ნორდ-ოსტის" ტრაგედია, რომელმაც უამრავი ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეიწირა, აუცილებელი იყო, რათა ამის საფუძველზე სამომავლოდ ძალოვანი უწყებებისთვის დაფინანსება გაეზარდათ. ამ დროს სწორედ იმ ხალხის სოციალური პრობლემები გადაწყდა, რომელმაც პუტინი ხელისუფლებაში მოიყვანა – უშიშროების ფედერალური სამსახურისა და იმ ძალოვანი სტრუქტურების, რომელთაც ამ რეჟიმის მფარველობა და მოფრთხილება დაევალათ. მერე მოხდა ბესლანის საზარელი ტრაგედია. ამჯერად მასობრივი მკვლელობა საჭირო იყო იმისთვის, რომ რეგიონული დეპუტატებისა და გუბერნატორების არჩევნები გაუქმებულიყო.

**— და კონკრეტულად რა მიზანს ემსახურებოდა ამჯერად, თქვენი აზრით, მოსკოვში განხორციელებული ტერაქტები?**

— ჩემთვის ცხადია, რომ პუტინის რეჟიმმა ამჯერადაც რაღაც ჩაიფიქრა. ჩემი აზრით, მსგავსი ტერაქტების აქტუალიზაცია იმისთვის ხდება, რომ პუტინი მომავალში კვლავ კრემლში დაბრუნდეს. ის პოლიტიკოსები, ჟურნალისტები და ანალიტიკოსები, რომლებიც ამ მიმართულებით ფიქრობენ, ჩემი აზრით, სწორ დასკვნებს აკეთებენ. რუსულ საზოგადოებას პუტინის წინააღმდეგ იმიტომ არ შეუძლია არაფრის გაკეთება, რომ იგი, სამწუხაროდ, ამ ადამიანების ინსტინქტებით წარმატებით მანიპულირებს და რუსულ საზოგადოებაში მოთხოვნადია. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, რუსული საზოგადოება, პრაქტიკულად, პუტინის მმართველობის და იმის მძევალია, რაც მოსკოვში ხდება. ამავდროულად იგი პასუხს აგებს კრემლის უდიდეს დანაშაულზე – ჩეჩნეთის წინააღმდეგ 20-წლიან ომზე, რომელიც უკვე მთელს ჩრდილოეთ კავკასიას მოედო. შესაბამისად, რუსული საზოგადოება ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულების თანამონაწილეა. მეც და ყველა ჩემი თანამოაზრეც ვგმობთ ნებისმიერ ტერორისტულ აქტს, რა მიზანსაც არ უნდა ემსახურებოდეს იგი. ამასთან დაკავშირებით ჩვენი პოზიცია აბსოლუტურად ნათელია. ჩვენ ვთვლით, რომ რუსულ-ჩეჩნური კონფლიქტის, ხოლო სადღეისოდ უკვე ჩრდილოეთ კავკასიისა და რუსეთის კონფლიქტის ძალისმიერი გზით გადაწყვეტა შეუძლებელია და პრობლემები აუცილებლად პოლიტიკური მეთოდებით უნდა გადაწყდეს. თუმცა, სამწუხაროდ, ვიდრე ხელისუფლებაში პუტინი და მისი თანაგუნდელები არიან, ამ პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია. რამდენი წელიც იქნება პუტინი რუსეთის სათავეში, იმდენი წელი გაგრძელდება ასეთი საზარელი აქტები.

**— პუტინისა და მისი რეჟიმის მიმართ ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად, რამდენიმე თვის წინათ თქვენ კრემლის მიერ ჩეჩნეთში დანიშნული ხელისუფლების წარმომადგენელს — ჩეჩნეთის პარლამენტის თავმჯდომარეს შეხვდით და განაცხადეთ, რომ მოლაპარაკებები პროდუქტიული იყო. რა შეგიძლიათ, გვითხრათ ამ შეხვედრის შესახებ და იგეგმება თუ არა მსგავსი შეხვედრები სამომავლოდ?**

— მსგავსი შეკითხვებით შეგიძლიათ თქვენს ხელისუფლებას, სააკაშვილს მიმართოთ. როდესაც თქვენი ხელისუფლება კოკოითსა და ბაღაფშთან კონტაქტებს ამყარებს, ის ნაკლებ პრორუსულია, ვიდრე რამზან კადიროვი?! მე რამზან კადიროვს არ შევხვედრივარ და მასთან არანაირი საკითხი არ განმიხილავს. მე შევხდი პუტინის და მედვედევის წარმომადგენლებს – წარმომავლობით ჩეჩნებს. რაც შეეხება შეხვედრის შინაარსს, ჩვენ რუსეთის ტერიტორიაზე საპყრობილეებში მყოფი 25 ათასი ჩეჩენი დევნილის საკითხი განვიხილეთ. ვისაუბრეთ ასევე ჩეჩნეთის პრეზიდენტის ასლან მასხადოვის ცხედრის გადმოცემის საკითხზე. დაისვა იმ ჩეჩენი მებრძოლების ნათესავების დევნის შეწყვეტის საკითხიც, რომლებიც ამ დრომდე იბრძვიან. ყველა ეს საკითხი რუსეთის ხელისუფლების იურისდიქციაშია. ჩვენ მხარს ვუჭერთ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ომის დამთავრებისა და ჩეჩენი საზოგადოების კონსოლიდაციის ნებისმიერ პოლიტიკურ მცდელობას. რა არის ამაში ცუდი და რატომაა ეს კითხვა დღემდე აქტუალური?!

**— ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა ვერსია არსებობს. ყველა შემთხვევაში, ფაქტია, რომ ეს საკითხი ამ დრომდე აქტუალურია და საზოგადოებას სურს, იცოდეს ამის შესახებ...**

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ, როგორც თქვენი ხელისუფლება მოსკოვის მარიონეტებთან – ბაღაფშთან და კოკოითთან საუბრობს, ჩვენც ასევე გვიწევს მათთან საუბარი. როდესაც ჩემს შეხვედრებზე ისაუბრებენ, კოკოითი და ბაღაფში ნუ დაავიწყდებათ! პოლიტიკური პროცესების წარმოებისთვის მსგავსი კონტაქტები ყოველთვის აუცილებელია. მნიშვნელოვანია არა ის, რატომ იმართება შეხვედრა და რას შეეხება საუბარი, არამედ ის, რომ იჩქერიის ხელისუფლებას სურს, არა თუ მიიღოს მათი წინადადებები, არამედ შესთავაზოს საკუთარი, რომელთაც შეუძლიათ, მიზანთან დაგვაახლოვოს. მოწინააღმდეგესთან საუბარი მისი პოზიციის გაზიარებას არ ნიშნავს, პირიქით, საუბრისას შესაძლოა, იგი შენს პოზიციაზე გადმოიყვანო.

**— რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივანმა ნიკოლაი პატრუშევმა განაცხადა, რომ ტერაქტების გამოძიებაში შესაძლოა, „ქართული კვალი" გამოიკვეთოს. მან ასევე აღნიშნა, რომ „საქართველოს პრეზიდენტის ქმედებები არაპროგნოზირებადია, რამდენადაც მიხეილ სააკაშვილმა უკვე გააჩაღა ომი და არ არის გამორიცხული, კიდევ ერთი ომი წამოიწყოს". როგორ შეაფასებთ პატრუშევის ამ განცხადებებს". ხომ არ ცდილობს, თქვენი აზრით, კრემლი საქართველოს წინააღმდეგ ახალი აგრესიის განსახორციელებლად საბაბის მოძიებას?**

— რა თქმა უნდა, პატრუშევის განცხადების უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება, თუმცა გარწმუნებთ, რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ არანაირ ახალ აგრესიას არ განახორციელებს. ყველაფერი, რაც რუსეთს სჭირდებოდა, მან საქართველოსგან უკვე მიიღო და გააკეთა: მან უკვე მიითვისა საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი. ასე რომ, პატრუშევისა და სხვათა ანალოგიური განცხადებები მხოლოდ ქართული საზოგადოების მუდმივ შიშში ყოფნას და ამის შედეგად იმას ემსახურება, რომ რუსეთმა უკვე დაკავებული პოზიციები გაიმყაროს და ქართულ საზოგადოებაში დეოკუპაციაზე საუბარიც კი შეწყდეს. მათ სურთ, ქართველებმა ახალი ოკუპაციის დაუშვებლობაზე ისაუბრონ. რეალურად სადღეისოდ საქართველოში ახალ შესაძლო აგრესიას კი არა, საქართველოს დეოკუპაციის საკითხს უნდა განიხილავდეთ.

**— საქართველოს პარლამენტის ჩრდილოეთ კავკასიის პარლამენტებთან მეგობრობის ჯგუფმა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებს მიმართვა გაუგზავნა. ექსპერტების ნაწილი აღნიშნულ მიმართვას დაგვიანებულად აფასებს. თქვენ როგორ შეაფასებდით მას?**

— ჩემი აზრით, ეს მიმართვა აზრს აბსოლუტურადაა მოკლებული, რადგან ამ რესპუბლიკებში დღეს ხალხის მიერ არჩეული პარლამენტები არ არის. მსგავსმა პარლამენტებმა არსებობა 10 წლის წინათ შეწყვიტა, როდესაც რუსეთის ხელისუფლებამ 1992 წელს გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ახალი ფედერალური სახელმწიფოს შექმნის შესახებ გამოაცხადა. დღეს ეს შეთანხმება უკვე აღარ მუშაობს და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკებში არსებულ ხელისუფლებებს ლეგიტიმაცია არ აქვთ. იქ საოკუპაციო რეჟიმის მიერ დასმული ხელისუფლებაა და მისადმი მიმართვა პუტინისა და მედვედევისადმი მიმართვას ნიშნავს. ალბათ, ხვდებით, რა რეაქცია ექნებათ მათ. ერთადერთი ბერკეტი, რომელიც საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ შეუძლია, გამოიყენოს, ჩეჩნეთის რესპუბლიკაა. ევროპის საბჭომ ჯერ კიდევ 2000 წელს მიიღო რეზოლუცია, რომლის თანახმად, საბჭოს ნებისმიერ წევრს შეუძლია, რუსეთის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანოს. საქართველოს რომ საკუთარი შესაძლებლობა გამოეყენებინა, გამოეყენებინა საერთაშორისო ტრიბუნა და სარჩელი შეეტანა იმ დანაშაულებთან დაკავშირებით, რომელიც რუსეთმა ჩეჩნეთის ტერიტორიაზე ჩაიდინა, ეს იქნებოდა მოქმედი იარაღი ქართველი პოლიტიკოსების ხელში. როგორც ვხედავთ, საქართველოს ხელისუფლება დღეს ამისთვის მზად არ არის. რასაც იგი დღეს აკეთებს, პოპულიზმია და მსგავს მიმართვას არანაირი შედეგი არ ექნება. ვიმეორებ, პუტინისთვის ყველაზე მტკივნეული თემა ჩეჩნეთია, რადგან იცის, რომ იქ დანაშაული ჩაიდინა. სწორედ ამ თემის გამოყენება შეუძლიათ რუსეთის წინააღმდეგ ქართველ პოლიტიკოსებს. რამდენადაა მზად საქართველოს ხელისუფლება, პოპულისტური მეთოდებიდან რუსეთის წინააღმდეგ რეალურ სანქციებზე გადავიდეს, ამას მომავალი გვიჩვენებს.

**— 20-21 მარტს თბილისში კავკასიის პრობლემებთან დაკავშირებით კონფერენცია გაიმართა, რომლის ფარგლებში ჩერქეზეთის წარმომადგენლებმა საქართველოს პარლამენტს ჩერქეზი ერის გენოციდის აღიარების შესახებ რეზოლუციის მიღებისკენ მოუწოდეს. როგორ შეაფასებთ აღნიშნულ კონფერენციას და ზოგადად ოფიციალური თბილისის ბოლოდროინდელ გააქტიურებას ჩრდილოეთ კავკასიასთან მიმართებაში?**

— „პირველი კავკასიური" არხის გარდა, პოზიტიური ჯერჯერობით ვერაფერი დავინახე. საქართველოს ხელისუფლებისგან რეალურ, ქმედით ნაბიჯებს ვერ ვხედავ. ამჟამად არა ჩერქეზეთის საკითხი უნდა განიხილონ, რომელიც შეიძლება, შემდეგ გახდეს მსჯელობის საკითხი, არამედ წინა პლანზე ჩეჩნეთის საკითხი უნდა წამოიწიოს, რომელიც ამ ეტაპზე ოკუპირებულია. ეს ყველაფერი ზედაპირზე დევს და აუცილებლად უნდა იქნას გამოყენებული, რადგან ამას შედეგის მოტანა შეუძლია. ვიდრე პუტინი და მედვედევი ცოცხლები არიან, ჩეჩნეთის თემა ყველა ტრიბუნაზე უნდა დაისვას. ჩერქეზეთის თემა ისტორიულია და მასზე კიდევ 50 წელი იმსჯელებენ, ჩეჩნეთის საკითხი კი თანამედროვე და აქტუალურია. საჭიროა, ყველა დამნაშავემ პუტინის ხელმძღვანელობით, პასუხი აგოს ნამოქმედარზე. აი, რაზე უნდა იფიქროს საქართველოს ხელისუფლებამ და როგორი ნაბიჯები უნდა გადადგას, თუ მართლა სურს, რაიმე სასარგებლო გააკეთოს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებისთვის და რაიმე საზიანო რუსეთის ხელისუფლებისთვის.

**— რუსეთის პრეზიდენტმა ჩრდილოეთ კავკასიის სახით მერვე ფედერალური ოლქი შექმნა. როგორ ფიქრობთ, რისთვის დასჭირდა ეს მოსკოვს და შეცვლის თუ არა ახალი ოლქი ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ მდგომარეობას?**

— რა თქმა უნდა, ეს ოლქი არაფერს შეცვლის, რადგან იქ არა ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური პრობლემებია. ვიდრე პოლიტიკური პრობლემები არ გადაწყდება, ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ყველა მცდელობა ფუჭია. საჭიროა, ხალხს საკუთარი ხელისუფლების არჩევის, საკუთარი კულტურისა და ეროვნული იდენტურობის, თავისუფლად ცხოვრების უფლება დაუბრუნდეს. როდესაც ყველა ეს პრობლემა გადაწყდება, შესაძლოა, სტაბილურობამაც დაისადგუროს.

**ლევან ჭითანავა.**

**საინფორმაციო სააგენტო „პირველი"**

ინფორმაცია

## მერობა და საკრებულოს თავმჯდომარეობა ვირტუალური თანამდებობებიო

**მოძრაობა „დაიცავი საქართველოს" ლიდერი ლევან გაჩეჩილაძე სოზარ სუბარის შეთავაზებაზე უარს აცხადებს და განმარტავს, რომ საკრებულოს თავმჯდომარეობა მისთვის ვირტუალური თანამდებობაა.**



**— საკრებულოს თავმჯდომარეობისთვის არც მე და არც სოზარი არ ვიბრძვით. პირდაპირ გეტყვით, არც მერობისთვის ვიბრძვი. მე ვიბრძვი თანხმობისთვის — გამარჯვების ფორმულისთვის. თანაც, საკრებულოს თავმჯდომარეობა სოზარისთვისაც, ჩემთვისაც და სხვისთვისაც ძალიან ვირტუალური რამეა, რადგან ამას სჭირდება 26 დეპუტატი. საკრებულოს 26 დეპუტატის შეკრება კი ერთიანი ფრონტის გარეშე შეუძლებელია. ამიტომ, ჩემთვის ადამიანურად ამ შეთავაზების მიღება შეუძლებელია, — განაცხადა გაჩეჩილაძემ ტელეკომპანია „მაესტროს" ეთერში საუბრისას.**

**ამასთან, გაჩეჩილაძე სოზარს შეთავაზებული წინადადებისთვის მადლობას უხდის და მიუხედავად იმისა, რომ საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატობაზე უარს აცხადებს, მზადაა ამ პოსტზე ერთიან ოპოზიციურ კანდიდატზე შეთანხმების პროცესში სუბართან ერთად თავადაც ჩაერთოს.**

**— მე სოზარს ავუხსენი ისიც, რომ ჩემი ვერც ერთ მხარეს და ვერ მეორე მხარეს დგომა ოპოზიციურ ძალას, რასაც მიხეილ სააკაშვილის რეჟიმის დამარცხების ძალა ჰქვია, ვერაფერს შემატებს, თუ ოპოზიციაში ის კრიზი დარჩა, რაც არის.**



**— არ ვიქნები საკრებულოს თავმჯდომარეობის ერთიანი კანდიდატი, რადგან ეს პრიორიტეტული არ არის. მე სხვა ერთიან კანდიდატს დავუჭერ მხარს და რა ფუნქციასაც მომანიჭებენ საარჩევნო კამპანიაში, მზად ვარ იმ მიმართულებით ვიმუშაო, — დასძინა გაჩეჩილაძემ.**

ჯი-ეიჩ-ენი

განსჯა

# ასჯერ გაზომე და... მერე დადგი!“

**ქალაქის მერის არჩევას ვუძღვნი ამ პუბლიკაციას და შევახსენებ ჩვენს საზოგადოებას, რომ ათასჯერ უნდა გაზომონ და ერთხელ გაჭრან, თორემ ის დაემართებათ, რაც თავის დროზე რუსეთს დაემართა.**

ეს იყო პეტერბურგში...

...სწორედ იქ „ჩაისახა მათი სიყვარული“, – სობჩაკი და პუტინი, პუტინი და სობჩაკი... მას შემდეგ მათი „ნავი“ კარგა ხანს ერთად მიაპობდა ნევის მღვრიე ტალღებს, მერე ამ ტალღების ჭუჭყიანმა ნაკადმა მთელი რუსეთი აამღვრია და კორუფციის ჭაობში დაახრჩო.

...10 წელზე მეტი გასულა მას შემდეგ...

ზუსტად ამდენივე ხანია, რაც მარინა სალიე, პეტერბურგის ქალაქის საბჭოს და რუსეთის სახალხო დეპუტატი, ფსკოვის ოლქის მიყრუებულ სოფელში გადასახლდა და ჟურნალისტებთან კონტაქტი გაწყვიტა.

მიზეზი?!

მან, სხვა ნეტარ მორწმუნეთაგან განსხვავებით, რომლებმაც ჩვეულებრივი, ადამიანური და სრულიად ბუნებრივი საქციელი (9 აპრილს საქართველოს მხარდაჭერა) ანატოლი სობჩაკს გმირობად ჩაუთვალეს და თბილისის ცენტრში ძეგლიც დაუდგეს, იმ უბრალო მიზეზის გამო ვერ იწამა, რომ ქალაქ პეტერბურგის მერობის რანგში მის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტები სრულიად საწინააღმდეგოზე ღაღადებდა. მათ თუ ვერწმუნებით, ის ჩვეულებრივი კორუმპირებული ჩინოვნიკი იყო და თანაც საკმაოდ „მსხვილი კალიბრის“. ამას კიდევ აიტანდა კაცი, მაგრამ ვინაიდან მან რუსეთს და შესაბამისად მსოფლიოს დიდი „საჩუქარი“ უძღვნა პუტინის სახით, ამიტომაც მისი პიროვნება ცოტა ღრმადაა საკვლევი.

1992 წელს სანკტ-პეტერბურგის ქალაქის საბჭოს სპეციალურმა კომისიამ, რომელსაც მარინა სალიე ხელმძღვანელობდა, გამოიკვლია, რომ იმ დოკუმენტების მიხედვით, რომელსაც პეტერბურგის მერიის საგარეო კავშირების კომიტეტის თავმჯდომარე ვლადიმირ პუტინი და მისი მოადგილე ალექსანდრე ანიკინი აწერდნენ ხელს, ბარტერული გაცვლის საბაბით, საზღვარგარეთ გაიტანეს 100 მილიონი დოლარის იშვიათი ლითონები (ანუ ლანთანოიდები – საკუთრივ ლანთანი, იტრიუმი, სკანდიუმი და სხვა ძვირადღირებული მეტალი), ნავთობპროდუქტები და სხვა წიაღისეული. ამ ბარტერული გაცვლის შედეგად ქალაქში უნდა შემოეტანათ იმავე ღირებულების ხორცი, კარტოფილი, ფრინველი და სხვა საკვები პროდუქტები, მაგრამ... როგორც ყველა თანამედროვე ზღაპრებში ხდება, არავის არაფერი არ შემოუტანია და ეს იმ დროს, როცა ქვეყანაში საკვებ პროდუქტებზე მწვავე დეფიციტი იყო და ტალონები გაიცემოდა, პეტერბურგში ლენინგრადის ბლოკადის „აჩრდილი“ დაბორიალობდა. სალიეს კომისიის ანგარიში გადაეცა პროკურატურას და პრეზიდენტის ადმინისტრაციის მაკონტროლებელ სამმართველოს, თუმცა გამოძიება შეწყდა და პუტინი არათუ მოხსნეს თანამდებობიდან, როგორც ქალაქის საბჭო მოითხოვდა სალიეს ანგარიშის მოსმენის შემდეგ, არამედ დააწინაურეს კიდეც.

2000 წელს, როცა სობჩაკის თბილ კალთას შეფარებული პუტინის კარიერა პიკს აღწევდა, მარინა სალიესთან ინტერვიუს მსოფლიოს წამყვანი ტელეარხები და საგაზეთო გამოცემები ეცილებოდნენ ერთმანეთს, მათ შორის ერთი რუსეთის არხიც კი ყოფილა, როგორც შენიშნავენ ინტერნეტში განთავსებული სტატიის – „რატომ დუმდა პუტინის თაობაზე მარინა სალიე 10 წლის განმავლობაში?“ („რადიო თავისუფლების საიტი“) – ავტორები ანასტასია კირილენკო და იური ტიმოფეევი. ამ ქალბატონმა დღემდე შემოინახა არქივი, სადაც ინახება ცნობილი ანგარიში 40-მდე დამატებითი „საქმით“ (მათ შორის, დოკუმენტებით, რომლებზეც „რადიო თავისუფლების“ კორესპონდენტებმა ვლადიმირ პუტინის ხელმოწერის სამი ვარიანტი აღმოაჩინეს, თუმცა, რაღა თქმა უნდა, მისი სისწორე მათ არ გადაუმოწმებიათ), ვლადიმირ პუტინის მიმოწერა სანკტ-პეტერბურგის საბაჟოსთან, ანატოლი სობჩაკის და ეგორ გაიდარის მიმოწერა, იმ დოკუმენტების თაობაზე, რომლებსაც პუტინი გასცემდა ექსპორტიორებზე და სხვ. ეს არასრული ჩამონათვალია იმ საბუთებისა, ყოფილ დეპუტატს რომ აქვს შენახული, მათ შორისაა სანკტ-პეტერბურგის ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებების რამდენიმე საქაღალდე, რომლებიც იმავე წამს აუქმებდნენ პეტერბურგის მერის არაკანონიერ, მავნებლურ და, შეიძლება ითქვას, დივერსიულ გადაწყვეტილებებს.

იმ დროს მარინა სალიე თავად აქვეყნებდა პუბლიკაციებს და აქტიურად მოუწოდებდა ყველას – ხმა არ მიეცათ პუტინისთვის, პუტინის გამარჯვების შემდეგ კი ის განერიდა ყველაფერს და მიყრუებულ სოფელში დაიდო ბინა. მან მხოლოდ 2010 წლის თებერვალში გატეხა ნავსი და „რადიო თავისუფლებას“ მისცა ინტერვიუ, რადგან ჩათვალა, რომ იმჟამად გამოსულ ფილმს – „ანატოლი სობჩაკი. 10 წლის შემდეგ“, რომელშიც შესული იყო ვლადიმირ პუტინის და პრეზიდენტ მედვედევის ინტერვიუ, მისი კომენტარების გარეშე არ უნდა ჩაევლო:

„სობჩაკი დემოკრატი არასოდეს ყოფილა“, – აცხადებს მეცნიერებათა დოქტორი და პეტერბურგის ქალაქის საბჭოს დეპუტატი და დასძენს, რომ მის ცენზს არ ეკადრება იმ სიტყვის გამოთქმა, რადაც



მარინა სალიე

სობჩაკს „ლენსოვეტის“ გარდაქმნა ჰქონდა ჩაფიქრებული:

„რა თქმა უნდა, დამნაშავეა ყველა, მათ შორის – მეც, რადგან ის სამეფოდ დავსვით. მაგრამ რაც შემდეგ დაიწყო, ამას ნამდვილად არავინ ელოდა. პირველივე თათბირიდან მან ჩვენი ფეხით გათელვა დაიწყო, სრულიად მიულებელი გამოთქმებით აყენებდა შეურაცხყოფას დეპუტატებს, ახდენდა მათ დისკრედიტაციას ყველა მეთოდით. ეს მეთოდები კი მას უამრავი ჰქონდა. მთელი პრესა მის ხელში იყო, მას ყველგან დიდი სიხარულით ბეჭდავდნენ. ჩვენც ვიბეჭდებოდით, მაგრამ იშვიათად, აი, ტელევიზიებთან კი არც გვაკარებდნენ. ქალაქის საბჭოს დისკრედიტაციამ ზოგადად სამართალდამცველი ხელისუფლების დისკრედიტაციამდე მიგვიყვანა, არა მხოლოდ პეტერბურგში, არამედ მთელ ქვეყანაში. ასე მოვედით ჩვენს დღევანდელ პარლამენტამდე“, – ვკითხულობთ ინტერვიუში.

ძალზე ნიშანდობლივი განცხადებაა, – სულ მაინტერესებდა, ამდენი ბრძოლის, მოსკოვის შუაგულში ტანკების გრუხუნის და ხალხის გააფთრებული წინააღმდეგობის შემდეგ როგორ მოვედით დღევანდელ რუსეთთან, როგორ მივიღეთ ამგვარი „დუმა“ ამ პუბლიკაციის შემდეგ, რომელსაც კარგა ხანს ინტერნეტში დავდევდი, რადგან რაღაც მიზეზების გამო უბრალოდ ვერ ვხსნიდი (ელცინის ქალიშვილის პუტინზე სიმართლის გამომააშკარავებელი ინფორმაციის დარად, რომელსაც, სხვათა შორის, დღემდე ვერ გავეცანი – **ავტ.**), წამში გამინათდა გონება. ეჭვიანი პროფესია მაქვს და ადრეც ვფიქრობდი, რომ იმ „პროდუქტების“ შემქმნელი, რომლებიც დაგვიტოვა ძვირფასმა ანატოლიმ, ვგულისხმობ, მის სკანდალურად ცნობილ ქალიშვილ – ქსენიას და ასევე სკანდალურად ცნობილ ვლადიმირ პუტინს, თავად მთლად უმანკო კრავი ვერ იქნებოდა, მაგრამ თუ ამდენად მის სინდისზე იყო რუსეთის, და შესაბამისად დანარჩენი მსოფლიოს დღევანდელი არასტაბილური მდგომარეობა და რუსეთის კურსის უკან, სსრკ-ს-კენ 180 გრადუსით შემობრუნების პუტინისეული მცდელობა, ნამდვილად არ მეგონა. კვლავ ციტატებს მოვიშველიებ იმ ინტერვიუდან:

„ის ქალაქის „ხოზიაინი“ გახდა, – ნათქვამია ფილმში სობჩაკზე, ზუსტადაა ნათქვამი, ეს ასეც იყო, ის ამისკენ ისწრაფვოდა ყოველთვის. მგონი, ამ სიტყვების ავტორი ფილმში მედვედევია. მან საერთოდ თუ იცის, რომ კანონშემოქმედებითი, აღმასრულებელი და სამართალდამცველი ხელისუფლება გაყოფილი უნდა იყოს? სობჩაკს სურდა ქალაქის და რაიონული საბჭოების დათხოვნის უფლება მოეპოვებინა, არც მეტი, არც ნაკლები! ვერ მიაღწია. ის ტყუილსაც არ ერიდებოდა საამისოდ. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1992 წლის 30 მარტს პეტერბურგის ქალაქის საბჭომ საჭიროდ სცნო ანატოლი სობჩაკის განთავისუფლება მერის თანამდებობიდან. ეს საბუთი გაუგზავნეს ელცინს. ჩვენ, სიტყვა-სიტყვით ვწერდით პრეზიდენტს: ქალაქის მერი ჯიუტად ცდილობს აღმასრულებელი ხელისუფლების, წარმომადგენლობითი ხელისუფლების კონტროლიდან გამოყვანას“

მარინა სალიეს თქმით, ელცინმა არავითარი რეაგირება არ მოახდინა ამ მოთხოვნაზე და ანატოლი სობჩაკსაც მეტი რაღა დარჩენოდა, უნდა გაეგრძელებინა თავისი ჩვეული ყოფა-ცხოვრება, ანუ პრეზენტაციებზე სიარული, კოსტიუმების ყოველდღიური ცვლა და უცხოეთში მოგზაურობა, რადგან მერად დანიშვნის დღიდანვე მას უკვე ყავდა „თავისი გუნდი“ (რომელშიც, სხვათა შორის, პუტინიც შედიოდა), რომლებმაც სწორედ ამგვარი ქმედებებით და ქალაქის ძარცვით დაამახსოვრეს თავი პეტერბურგელებს.

პუტინიც და მედვედევიც სობჩაკს უთვლიან დამსახურებად ქალაქისთვის ძველი სახელის დაბრუნებას, მაგრამ ეს ასე არ ყოფილა, – ეს კარგი საქმეც სხვას, კერძოდ, დეპუტატ სკობეიდას გაუკეთებია. ეს მას შეუტანია ქალაქის საბჭოს მე-7 სესიაზე პროექტი და შემდეგ სესიას 25-30 აპრილს გადაუწყვეტია სათანადო გამოკითხვის მოწყობა. დემოკრატიული პარტიის წევრები დარბოდნენ, არიგებდნენ ბროშურებს, ატარებდნენ გამოკითხვას, სობჩაკი კი ამ დროს უბრალოდ დუმდა თურმე, ბოლოს კი გამოსულა და უთქვამს: თავად გადაწყვიტეთო, ხალხმაც გადაწყვიტა. „მე კატეგორიულად არ მსურს, რომ ეს დამსახურება მას მიეწეროს, ეს ხალხის გამოკითხვის შედეგია“, – აცხადებს მარინა სალიე.

კიდევ ერთი, რასაც „პუტინ-მედვედევი“ თუ „მედვედევ-პუტინი“, ანუ რუსეთის ამჟამინდელი „ორთავიანი პრეზიდენტი“ აქტივში უთვლიან სობჩაკს, კანონის დაცვაა, სალიეს აზრით კი, ყველაზე მეტად ამ უკანასკნელს ამ სფეროში „უჭირდა“ და ის „რადიო თავისუფლების“ ჟურნალისტს დამამტკიცებელი საბუთების მთებს უხვავებს, საიდანაც ირკვევა, რომ სობჩაკი ბრძანებდა, საბჭო კი ფეხდაფეხ აუქმებდა მის მავნებლურ ბრძანებებს, რომლებიც ქალაქის ქონების (საქმე ეხება შენობა-ნაგებობებს) საეჭვო გარიგებებით საეჭვო ფირმებზე გადაცემას შეეხებოდა. ბრძანების გაუქმებისთვის საჭირო დასკვნებს თავად დიმიტრი კოზაკოვი იძლეოდა, – ამ მცოდნე და კეთილსინდისიერებით განთქმული იურისტის კომპეტენციაში კი ეჭვის შეტანა, მისი პიროვნული და პროფესიული თვისებებიდან გამომდინარე, უბრალოდ შეუძლებელია, – ვკითხულობთ ინტერვიუში. მაგალითისთვის მარინა სალიეს მოყვანილი აქვს სანკტ-პეტერბურგის პრესტიჟული რაიონის „ახალი ჰოლანდიის“ მაგალითი, რომლის არქიტექტურული ანსამბლი სობჩაკს ვიღაც უცნობი ფირმისთვის მიუცია გამოსასყიდად. ამ გარიგების პირობები ქალაქისთვის იმდენად წამგებიანი ყოფილა, რომ დეპუტატებს ოხვრა აღმოხდენიათ მისი ხილვისას. კანონის დარღვევის სხვა უამრავ შემთხვევებზეც მიუთითებს „რადიო თავისუფლების“ კორესპონდენტს სალიე და სათანადო დოკუმენტაციით და იმ კოდექსთა მთელი ჩამონათვალით ამაგრებს თავის მოსაზრებებს, რომელთა დარღვევაც „რუსული დემოკრატიის ერთ-ერთ მამას“ მშვენივრად „მოუხერხებია“. ესაა: კანონი საკუთრების შესახებ, რუსეთის ფედერაციის კოდექსი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, სამოქალაქო კოდექსი, სსრკ-ს კანონი კოოპერაციის, საწარმოთა და სამეწარმეო საქმიანობის შესახებ და მრავალი სხვა. ეს საბუთები პირადად ხელში გადავეცი ელცინსო, 1992 წლის 15 იანვარს, ამბობს სალიე და დასძენს, არანაირი რეაქცია ამ უკანასკნელის მხრიდან აღნიშნულ დარღვევებს არ მოჰყოლიაო.

ბლოკადაგადახდილ მარინა სალიეს განსაკუთრებულ აღშფოთებას ის გარემოება იწვევს, რომ აღნიშნულ ფილმში ერთი სიტყვაც არ თქმულა იმაზე, თუ როგორ „იხსნა“ სობჩაკმა პეტერბურგი შიმშილისაგან:

„არ თქმულა იმიტომ, რომ იცოდნენ მე არ გავჩუმდებოდი. ყველაფერი ძალიან მარტივია. 1991-92 წ.წ. შემოდგომა-ზამთარში ქალაქი სურსათის გარეშე დარჩა. ეს არც სობჩაკის, არც ჩემი და არც აღმასრულებელი სტრუქტურის ხელმძღვანელის ბრალი არ იყო. ნაწილობრივ სურსათი გადამალეს და ფიზიკურად აღარ არსებობდა. 1991 წლის პუტჩის შემდეგ ეკონომიკური რეფორმები დიდხანს აღარ იწყებოდა. ბალტიისპირელებმა პირველებმა შემოიღეს თავისუფალი ფასები და სწორედ მაშინ დაიწყო პროდუქტების დარჩენილი ნაწილის გაშმაგებული გატანა პეტერბურგიდან. მივხვდი, რომ დარჩენილ სურსათზე ტალონები უნდა შემოგვეღო, მე, ბლოკადაგამოვლილ ადამიანს კარგად მესმოდა, რას ნიშნავდა ჩვენი ქალაქისთვის ტალონების შემოღება, მაგრამ ეს აუცილებელი იყო. ტალონები შემოიღეს რძეზე, ხორცზე, ძეხვზე, არაყზე. ამით ჩვენ რაღაც დროით სიტუაცია შევინარჩუნეთ, ამავე დროს მე მომდიოდა ხმები, რომ ჩვენი ქალაქისთვის გამოყოფილი იყო კვოტები ტყის, მეტალების და სხვა პროდუქციით სურსათზე ბარტერის განხორციელებაზე. ოფიციალურად არავინ არაფერი იცოდა. მე მივწერე სობჩაკს, მან გვიან მიპასუხა. შეიქმნა მუშა ჯგუფი ამ სიტუაციის გამოსაკვლევად. გაირკვა: ხელშეკრულებები იდებოდა „ერთდღიან ფირმებთან“, ლიცენზიებს კი გასცემდა პუტინი, ხელსაც ან პუტინი, ან მისი მოადგილე ანიკინი აწერდნენ, თუმცა მათ ამ ლიცენზიების გაცემის უფლება არ ჰქონდათ. ნედლეული გადიოდა, სურსათი კი არსად ჩანდა. ამ გარიგების კიდევ ერთი ნიუანსი იმაში გამოიხატება, რომ ფასები საშინლად დაწეული იყო. მაგალითად მეტალ სკანდიუმზე ექსპერტებმა მე სხვა ციფრი დამისახელეს. მოგვიანებით, „ვედომოსტის“ ჟურნალისტი ვლადიმირ ივანიძე სხვა ექსპერტებისგან გებულობს, რომ ის სულ სხვა ფასად გაიყიდა, მაგრამ ამ ინფორმაციის გამოქვეყნებისთანავე მისთვის „ვედომოსტის“ კარები იხურება და მან იძულებით დატოვა ქვეყანა. რაც შეეხება სკანდიუმს, კონტრაქტში მისი ფასი 72,6 დოიჩმარკა იყო, რეალურად კი ყველაზე იაფიანი სკანდიუმის ფასი 2000 დოლარია კილოგრამზე, ანუ 40-ჯერ მეტი, ვიდრე კონტრაქტით იყო გათვალისწინებული. 1992 წელს, როცა ეს მეტალი იყო გატანილი ქვეყნიდან, სკანდიუმის ლითონის 1 კგ. ფხვნილის ფასი იყო 372 000 დოლარი, ანუ ასჯერ მეტი, გატანილი კი იყო 7 კილოგრამი, ჰოდა, გადაამრავლეთ! მთლიანად ამ კონტრაქტში საუბარი იყო მილიონებზე, ათეულობით მილიონ დოლარ მოგებაზე. სწორედ ამ „საქმეებით“ იყო დაკავებული, არა მარტო პუტინი, არამედ სობჩაკიც“.

როცა სალიემ გაიდარს აცნობა ყველაფერი, ამ უკანასკნელმა კი მკვეთრი წერილი გამოაქვეყნა, სადაც ნათქვამი იყო, რომ ლიცენზიის გაცემის და ნედლეულის უცხოეთში გატანის უფლება ჰქონდა მხოლოდ საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს, ამ დროს სობჩაკი ადგენს „პროტოკოლს“ – სანკტ-პეტერბურგის მერიის და რუსეთის ფედერაციის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სამინისტროს შორის, რის შემდეგაც ამ უწყების ხელმძღვანელი პეტრე ავენი გამოსცემს ბრძანებას „რუსეთის ფედერაციის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სამინისტროს წარმომადგენლის სტატუსის შესახებ სანკტ-პეტერბურგში“. ხსნიან პოხომოვს, აღნიშნული სამინისტროს მანამდელ წარმომადგენელს, პუტინის მერიასთან არსებული საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტი ორმაგ დაქვემდებარებაში გადაჰყავთ და აძლევენ მას ლიცენზიების გაცემის უფლებას. ერთი სიტყვით, სობჩაკი პუტინს მკერდით გადაეფარა. ამის შემდეგ სობჩაკი წერს ორაზროვან წერილს გაიდარს, რომ მათ გამოეყოთ გარკვეული კვოტები ნედლეულზე, უკვე გაიცა მათზე ლიცენზიები, მაგრამ თუ ახლავე არ გავაგზავნით აღნიშნულ ნედლეულს, ქალაქი სურსათის გარეშე დარჩება და ჩვენ მათ ნდობას დავკარგავთო. იქვე სთავაზობდა მას: „განვაგრძოთ ლიცენზიების გაცემა“. გაიდარის პასუხი დადებითი იყო, რაც „ვედომოსტის“ ჟურნალისტ ვლადიმერ ივანიძეს ასე შეუფასებია: ან გაიდარის თანხმობის ხელმოწერაა გაყალბებული (რაც სულაც არაა გამორიცხული, რადგან მარინა სალიეს მტკიცებით, დოკუმენტზე რიცხვები აშკარად და რამდენჯერმეა გადაკეთებული – **ავტ.**), ან გაიდარი ეწეოდა ორმაგ თამაშს. ამ ისტორიაში ყველაზე დიდი ნონსენსი კი ის გახლავთ, რომ ამ გმირ და რაინდ სობჩაკს სურსათის არშემოტანა სწორედ სალიესთვის გადაუბრალებია, არადა ის ვერანაირად ვერ შემოვიდოდა ქალაქში, რადგან ის ფირმები, რომელსაც ეს უნდა გაეკეთებინა, ბუნებაში არ არსებობდა. კითხვაზე, ვისზე იყო დარეგისტრირებული აღნიშნული ფირმები, ვინც ეს საუკუნის აფერა „ჩააბზრიალა“, სალიე პასუხობს, რომ მხოლოდ ერთადერთი გვარი გახდა ცნობილი და ეს იყო მანამდე ორჯერ ნასამართლევი გრიგორი მიროშკინი, ფირმა „ინტერკონცერნის“ პრეზიდენტი.

ამ ჩახლართული საქმის გამოძიება მომავლის საქმეა.



* * *

**აღნიშნულ წერილში სხვა უამრავ ღირებულ მასალასაც ამოიკითხავთ. მე კი ამ წერილის გამოქვეყნება საჭიროდ იმიტომ ჩავთვალე, რომ ინტერნეტ მასალებზე ხელი ბევრს არ მიუწვდება და თუ მიუწვდება, აზრი მაინც და მაინც „ჩვენი დროის გმირ“ სობჩაკისკენ არ წაუვა იმ უბედურების სათავის საძიებლად, ჩვენ რომ გვჭირს, რადგან დღეს ის საქართველოს გმირადაა აღიარებული სრულიად უბრალო, ადამიანური საქციელის, თუ საკმაოდ შორს გათვლილი და ტკივილამდე ნაცნობი („მათრახის და თაფლაკვერას“) პოლიტიკური ხერხის წყალობით, რომელიც „კგბ“-ს შეიარაღებაში იყო მუდამ, – ერთი „ბოროტი თანამშრომელი“ ურტყამდა, „კეთილი“ კი სიგარეტს სთავაზობდა. რაც შეეხება ალექსანდრეს ბაღში დადგმულ სობჩაკის ძეგლს, მან „ტროას ცხენის“ ფუნქცია უკვე იტვირთა, რომლის „გასახეთქი მუცლიდან“ მის მიერ გამოზრდილი „პატარა პუტინი“ გამოძვრა, „დიდი რუსეთის“ პრეზიდენტი გახდა და ახლა უკვე „რკინის ცხენით“, ანუ ტანკით უტიფრად შემოგრიალდა საქართველოში. ახლა იმაზეც ვიფიქროთ, ასე პანტაპუნტით უნდა ვუდგამდეთ მავანს ძეგლს? იქნებ, ავწონ-დავწონოთ მაინც მისი „საქმენი საგმირონი“ და მერე გადავწყვიტოთ, ღირსია კი იმ პატივის, რასაც მივაგებთ?! ეს განცხადება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ ძეგლი უნდა ავიღოთ, მე ამხელა ტვირთს ვერ ვიტვირთავ და არც მინდა ამას ჩვენებური, თბილისური გაწევ-გამოწევა მოყვეს, მაგრამ ვიდრე დავდგამთ, ასჯერ „გავზომოთ“.**

**ქეთი ჯაყელი**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №163

# რაც იყო და აღარ არის...

პალესტინელმა ეპისკოპოსმა ჟაკ დე ვიტრმა, რომელიც იერუსალიმის ჯვაროსანთა ლაშქრობაში მონაწილეობდა, რამდენიმე წერილი გაუგზავნა რომის პაპს. მხედართა ეთნიკურ სიჭარბეზე მოუთხრობდა. ახასიათებდა გერმანელ, ინგლისელ, იტალიელ მხედრებს და განსაკუთრებით გამოჰყოფდა ქართველებს, როგორც უმამაცეს ხალხს.

1219 წელს ქართველი მებრძოლები სირია-პალესტინაში გაემგზავრნენ.

ჟაკ დე ვიტრმა, რომელიც პირადად ესაუბრა ლაშა-გიორგის ელჩებს, თავის წიგნში **„იერუსალიმის ისტორია“** ქართველების სახე ამგვარად წარმოადგინა: **„ისინი არიან ფრიად მედგარნი და მამაცნი, ძლიერნი სხეულით... ძლევამოსილნი მხედართა ურიცხვი რაოდენობით. მათ სასტიკად დაშინებულნი ჰყავთ სარკინოზები, სპარსელები, მიდიელები, ასირიელები...**

**ამ მებრძოლებს ეწოდებათ გეორგიანები, რადგანაც განსაკუთრებულ პატივსა და თაყვანს სცემენ წმინდა გიორგის, ვისაც თავის მფარველად და მედროშედ თვლიან...**

**ყოველთვის, როცა გეორგიანები ეწვევიან სალოცავად უფლის საფლავს, ისინი შემოდიან წმინდა ქალაქში გაშლილი დროშებით და არავის უხდიან ხარკს. მათი კეთილშობილი ქალები, ამორძალთა დარად, შეიარაღებულნი იბრძვიან რაინდთა მხარდამხარ“.**

ფრანგი მისიონერი კი **მარტინ გოდერი** თვლიდა: **ქართველები ყველაზე მამაცი ხალხია აღმოსავლეთში...**

ისტორიული რეალობა, ის, რომ რაღაც იყო და აღარ არის, შემოქმედების საიდუმლოსავით აუხსნელია და ფარულ ლოგიკასაა მინდობილი... და ის, რომ ქართველებს იერუსალიმში ორმოცამდე ეკლესია ჰქონდათ და ბერ-მონაზონთა დიდი საკრებულო, დღეს აღარავის ახსოვს და ჩვენ წმინდა მიწიდან გამოდევნილებად გამოვიყურებით.

* * *

იერუსალიმი. ჯვრის მონასტერი – ქართული ხუროთმოძღვრების უნიკალური ძეგლი, რომელიც ცოტა ხნის წინათ ვინახულეთ, ტურისტულ საერთაშორისო მარშრუტებში ჩართული არ არის. იქნებ ამიტომაც „საყდრულ სიჩუმეს“ მოუცავს იქაურობა. თითქმის მთელი დღე იქ გახლდით და მხოლოდ სამმა ფრანგმა ტურისტმა შემოიარა. მართლმადიდებლურ ეკლესიაში სანთლები არ ენთო. ორი ახალგაზრდა არაბი ყმაწვილი ეზოს გამწვანებაში მონაწილეობდა. ურიკით გადაჰქონდათ მიწის ბელტები.

მონასტრის ზანერებზე აღნიშნულია, რომ **ეს არის ბიზანტიური ხუროთმოძღვრების ძეგლი და ოდითგანვე ბერძნულ ეკლესიას ეკუთვნოდა.**

იგივეს იმეორებს სხვადასხვა ენაზე გამოცემული თანამედროვე წიგნები ტურისტებისთვის. არც ერთი სიტყვა მონასტრის ქართულ წარმომავლობაზე, არც ერთი სიტყვა იქ მოღვაწე ბერ-მონაზონთა ღვაწლზე.

კედლებზე ბერძენ სასულიერო პირთა ფოტოპორტრეტებიც ჰკიდია.

იქ, ჩვენი გემოვნებისთვის უცხო, წითელი ბაზთებითა და თვალისმომჭრელი, ბრჭყვიალა საგნებით მორთულ ინტერიერში, შესასვლელი კარების თავზე ქართული ასომთავრული წარწერა ჯერ კიდევ იკითხება. შემორჩენილია ქართული ფრესკების ფრაგმენტებიც.

დამთვალიერებლებისთვის ყველაფრის ნახვაა ნებადართული.



„რუსთაველის ფრესკა წარწერით: „ფოტო და ვიდეოგადაღება აკრძალულია“



რუსთაველის პორტრეტი 2004 წელს.

მსურველთათვის შესაძლებელია ფოტო და ვიდეოგადაღებები. **მხოლოდ ერთადერთ ფრესკაზეა ინგლისურენოვანი წარწერა, რომ გადაღება აკრძალულია. ეს გახლავთ შოთა რუსთაველის პალესტინური პორტრეტი.**

თუ რატომ არის აკრძალული შოთა რუსთაველის გადაღება, მიზეზის ძებნას ამაოდ დავიწყებთ, რადგან განმარტებას არავინ იძლევა... ეს აკრძალვის კანონი მას მერე იქნა შემოღებული, რაც 2004 წელს, ივლისის თვეში დაუდგენელმა პირებმა კიდევ ერთხელ ხელჰყვეს ეს ქართველებისთვის წმინდათაწმიდა ფრესკა. როგორც ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, ქალბატონმა **თამილა მგალობლიშვილმა** გვითხრა, ის საგანგებოდ, რაღაც ბასრი საგნით იყო ჩაფხეკილი და შემაძრწუნებელ შთაბეჭდილებას ტოვებდა.

იქ ჩასული ქართველ მეცნიერთა დელეგაცია კი ვერ ახერხებდა ნებართვა აეღო რესტავრაციის დასაწყებად... მაგრამ ამაზე ქვემოთ...

შოთა რუსთაველის იერუსალიმში წასვლასა და ჯვრის მონასტერში ცხოვრების ისტორიას ფოლკლორტოპონიმიკური ძეგლების გარდა, მონასტრის სადაპე წიგნიც ადასტურებს.

ძველი ისტორიკოსი ტიმოთე გაბაშვილი პირველი გვამცნობს, უფრო სწორედ, გვაწვდის ლიტერატურულ ცნობას: „ჯვრის მონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვემოთ სვეტი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთას რუსთაველს, მეჭურჭლეთუხუცესს, თვითონაც შიგ ხატია მოხუცებული“.

1960 წელს, როცა **გიორგი წერეთელი, აკაკი შანიძე** და **ირაკლი აბაშიძე** იერუსალიმის ჯვრის მონასტერში შევიდნენ, ბარბაროსულად გადაშლილი ასომთავრული ასოები და გადაღებილ-გადაფხეკილი ქართული ფრესკები დახვდათ.

რუსთაველის ფრესკაზე მუქი ლურჯი საღებავის სქელი ფენა იდო.

**– დავიგვიანეთ – მწუხარედ უთქვამს აკაკი შანიძეს – 100 წლით მაინც დავიგვიანეთ...**

* * *

– მონასტერს გარშემო ადრე მშვენიერი ვენახები ჰქონდაო, – წერს დეკანოზი კონჭოშვილი – ბაღიც – ლიმონის, ლეღვის, ბროწეულის ხეებით... მარტო ამ ტაძარში 200 ბერი ცხოვრობდაო...

ცნობილია, რომ ჯვრის მონასტერი ქართველ მწიგნობართა სავანე და სასულიერო-საგანმანათლებლო ცენტრი იყო ახალო აღმოსავლეთში. პალესტინის ქართული კოლონია ძალიან დიდხანს ინარჩუნებდა მაღალ სტატუსს, მაშინდელი საქართველოს ხელისუფლებამ, ქვეყნის პოლიტიკურმა აღმავლობამ შეუვალი ავტორიტეტი მიანიჭა სამშობლოს ტერიტორიის გარეთ მოღვაწე ქართველებსაც. ადამიანთა ბედი ხომ უმეტესად მისი სამშობლოს ბედს ემსგავსება...

* * *

„როცა მონასტერი დაძველდა, – გვამცნობს მღვდელი ჯანაშვილი, – იერუსალიმს მოვიდა მოხუცი შოთა რუსთაველი, დამწერი „ვეფხისტყაოსნისა“ და დადგა ჯვრის მონასტერში: მას განუახლებია იგი და შეუწირავს „მრავალი სიმდიდრე“...

საუკუნეების მერე, 1960 წელს, ქართული ექსპედიცია რუსთაველის ბარბაროსულად გადაღებილი ფრესკის წინ იდგა უსაზღვრო სევდით და ტკივილით აღვსილი და გამოსავალს ეძებდა.

**აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი** და **ირაკლი აბაშიძე** ერთად ისმენდნენ რუსთაველის ხმას კატამონთან. რამდენიმე უძილო ღამის და მონასტრის ბერძენ მფლობელებთან გადატანილი ბატალიების შემდეგ მათ შეძლეს (არარესტავრატორებმა) ისრაელ რესტავრატორთა კონსულტაციებით რუსთაველის ფრესკისთვის შავი საღებავი გადაეცილებინათ. სხვა გზა არ ჰქონდათ. ბერძენმა არქიმანდრიტმა ქართველ მეცნიერებს არც ინფრაწითელი სხივებით გადაღების უფლება დართო და არც პროფესიონალ რესტავრატორთა მიყვანა ტაძარში.



ირაკლი აბაშიძის დღიურიდან:

***„გამოდის... გამოდის!***

***ნელ-ნელა ძლევს, სულ უფრო და უფრო იწმინდება რუსთაველის წითელი ტანსაცმელი...***

***მივყვებით მაღლა, სულ მაღლა... გამოჩნდა თეთრი წვერი. ერთმანეთს ვენაცვლებით, ვღელავთ, ვფუსფუსებთ... სახეს რომ მივუახლოვდით, ვცდილობთ ზედმეტი ძალა არ დავატანოთ მარჯვენას... ერთმანეთს ვაფრთხილებთ, ალერსივით მსუბუქად ვწმენდთ. გვეშინია, თვით რუსთაველის პორტრეტზე არ ვიმოქმედოთ. სასწაულია, რუსთაველის სურათის ფერებს არაფერი ეკარება, თუ რუსთაველის ფერები არ იკარებენ არაფერს... სურათი იწმინდება და ანათებს ისე, როგორც ოდესღაც უნათებია.***

***ნაშუადღევი, 5 ნოემბერი***

***გამოჩნდა დიდებული სახე ბრძენი მოხუცისა. ამაყი, მაგრამ ღრმად კაეშნიანი, თითქოს ნაცნობი სახე, საოცრად ნაცნობი სახე.***

***...ამისა დამხატავსა შოთას, შეუნდვეს ღმერთმა“, ამინ...“ ხოლო ქვემოთ პორტრეტზე „რუსთაველი“ თეთრად გამოანათა მსხვილმა ქართულმა ასომთავრულმა.***

***6 ნოემბერი.***

***მე და აკაკი შანიძე მივედით ჯვრის მონასტერში და ისინიც მოვიდნენ: გიორგი წერეთელი და ალფრედ ბერნჰაიმი, თავისი ასისტენტებით, აპარატით, მოწყობილობით. რუსთაველის პორტრეტი ისევ გუშინდელივით ელავს! ელავს ძველებურად! მეტად გაოცდა ბერნჰაიმი: ეს როგორ? რა საშუალებებით? რა ხერხით?***



ბ. პატარკაციშვილის მიერ დაფინანსებული რუსთაველის მემორიალი რუსთაველის ქუჩაზე, იერუსალიმში.

*სურათისკენ მიმართეს მძლავრი ფოტოაპარატი, მიაშუქეს რუსთველის პორტრეტს მძლავრი ელექტროფარები და ერთ საათში ჯვრის მონასტრის შოთა რუსთაველის დიდებული გამოსახულება უკვე ფოტოაპარატშია. აწ ვეღარსად დაგვეკარგება, ვერვინ წაშლის ჯვრის მონასტრიდან შოთა რუსთაველს!“*

* * *

იმედს, რომ „ვეღარავინ წაშლის ჯვრის მონასტრიდან“ რუსთაველის პორტრეტს, ისრაელელი პარლამენტარის თურინგ თოუზის წერილიც იძლეოდა, რომელიც მან 1974 წელს გაუგზავნა ირაკლი აბაშიძეს.

*– ძვირფასო ბატონო ირაკლი, მე შევასრულე თქვენი თხოვნა. 30 დეკემბერს იერუსალიმში მოვინახულე ჯვრის ქრისტიანული მონასტერი: შევხვდი არქიმანდრიტს, რომელიც მეგზურობას მიწევდა. კარგად დავათვალიერე ეკლესია, რომელშიც მიმდინარეობდა სამღვდელო საშუალებები. ფრესკა ორი წმინდანის ფიგურითა და მათ შორის მოთავსებული შოთა რუსთაველი ადგილზეა და კარგადაა შენახული.*

არქიმანდრიტმა დამარწმუნა, რომ **ძველი ქართული ფრესკები და წარწერები კარგადაა შენახული და ისინი მათ დაცვაზე ზრუნავენ“.**

* * *

გავა წლები და **ისევ საზედისწეროდ დადგება შოთა რუსთაველის ფრესკის ყოფნა-არყოფნის საკითხი.** მაშინ თუ ბარბაროსულად გადაღებეს, ახლა ასევე ბარბაროსულად ჩამოფხაჭნიან და ჩამოამტვრევენ, წაშლიან ასომთავრულ წარწერასაც **„რუსთაველი“...**

პრეზიდენტ **მიხეილ სააკაშვილის** იერუსალიმში ვიზიტის დროს ფრესკა სახელდახელოდ დაახატვინეს ბერძენ რესტავრატორს, ისე რომ საერთოდ არ შეესაბამებოდა დედანს... ისევ გაუღერდა პორტრეტი ქართველი მეცნიერებისა. მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა **სალომე ზურაბიშვილმა** იუნესკოში დააყენა საკითხი, მაგრამ ბერძნები უარს ამბობდნენ საერთაშორისო ექსპერტებზე. საბოლოოდ ფრესკას იერუსალიმის სიძველეთა დეპარტამენტის სპეციალისტები აღადგენენ, ქართველი მეცნიერების კონსულტაციებით (ქართველებს აქ მუშაობა დღემდე ეკრძალებათ). ხელოვნების მეცნიერებათა დოქტორმა, ქალბატონმა **მარიკა დიდებულიძემ** ამ თემასთან დაკავშირებით ბევრ ძალიან საგულისხმო საკითხზე გვესაუბრა, მაგრამ ყველაზე მთავარი, ალბათ, ის არის, რომ იერუსალიმში თანდათან იკარგება ყველა ქართული კვალი. ამიტომ გადაუდებელია, აუცილებელია ამ პროცესში მეცნიერთა ჩარევა. შესასწავლია კედლის მხატვრობის და წარწერების შრეები, უნდა როგორმე დავაბრუნოთ წარსული ჩვენივე მომავლისათვის.

* * *

ახალჩამოსული იერუსალიმიდან ჩემს შთაბეჭდილებებს და გულისტკივილს სამების ტაძარში ქალბატონ **მარიკა ლორთქიფანიძეს** ვუზიარებდი.

**– რატომ გვჯაბნის ყველა ჩვენო?** – იკითხა ქალბატონმა მარიკამ.

მართლაც, ნეტავ, რატომ?..

ჯვრის მონასტრის ქართული მოზაიკით შემკულ იატაკზე ჯერ კიდევ 1960 წელს ქტიტორული წარწერა იყო: „ქართველებო, სდექით მტკიცედ და შეურყევლად“.

ჩვენ ეს ფილა წარწერით არ დაგვხვედრია. როგორც გვითხრეს, მონასტრის ფონდსაცავშია გადატანილი.



„უდიდესი მიზანი და ოცნება ქართველი პოეტისა უნდა იყოს ის, რომ მთელ ქვეყნიერებას გააგონოს „ყურისმგლეჯელი გრიალი“ (პაოლო იაშვილი).

ლიტერატურის ისტორიაში არის მაგალითები, როცა მწერალი ემსგავსება საკუთარ პერსონაჟს ან პერსონაჟთა ბედს იზიარებს...

თუკი „მწერალმა უნდა გააზღაპროს თავისი ავტობიოგრაფია“ (პ. იაშვილი) და თუკი სიტყვა და ქმედება ერთარსად აღიქმება, პოეტურ სტრიქონებში ბევრი რამ არის ბედისწერულად საგულისხმო.

სიტყვათა შეთანხმება **„ყურისმგლეჯელი გრიალი“** სრულიად ახალგაზრდა პაოლო იაშვილმა სამშობლოს **„ისტორიის ხმებს“** დაუკავშირა „ცისფერყანწელთა“ გაზეთის „ბახტრიონის“ ფურცლებზე და ამგვარი „გრიალით“, როგორც იმ ეპოქის ყველაზე დიდი პროტესტის ფორმით, დაასრულა სიცოცხლე.

„ბახტრიონის“ რედაქტორი **გიორგი ლეონიძე** მოგვიანებით იტყვის: **„აღარ გვყავს ჩვენი სხივოსანი, ჩვენი ნაღდი პაოლო! „დაგვაკლდა სათვალავში“ ელვარე პოეტი...**

**პაოლოს მიერ ნათარგმნი პუშკინის სიტყვებით ვფიქრობ ახლა პაოლოზე**

**„გაკლიათ ვინმე**
**სათვალავში**
**გამოწვევაზე...**
**ვისი პასუხი ვერ მიიღეთ**
**ძმების ძახილზე,**
**ვინ არ მოვიდა,**
**ვინ დასტოვა თქვენი**
**კრებული!“**

**პოეტის დაკარგვა ძალიან ადვილია, ხოლო პოვნა ძნელია მეტად...**

* * *

*2010 წელი. 21 მარტი. სამების ტაძარი. არაჩვეულებრივი დღე ქართველი ერის ცხოვრებაში. საქართველოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ფურცელი – პაოლო იაშვილის თვითმკვლელობა გაიხსენა...*

იმ დღეს პაოლოს თაყვანისმცემლების, ახლობლების და მრევლის წინაშე საქართველოს პატრიარქმა პაოლო იაშვილს პირველი პანაშვიდი გადაუხადა. მრევლს შეახსენა პაოლო იაშვილი, როგორც პიროვნება და პოეტი და ბრძნულად, არაერთმნიშვნელოვნად და სიღრმისეულად განმარტა პაოლოს თვითმკვლელობის მიზეზთა მიზეზი.

**„არიან ადამიანები, რომელთა ცხოვრება მთელ ერს ეკუთვნის; არიან ადამიანები, რომლებიც სხვა ადამიანების ტვირთს საკუთარ თავზე იღებენ და მათ ცხოვრებას უადვილებენ.**

**დღეს განსაკუთრებული დღეა... მეორედ შობა პაოლო იაშვილისა. ჩვენ მხედველობაში მივიღეთ ის ძალიან მძიმე გარემოება, ის მძიმე რეპრესიები, რაც 1937 წლის რეალობაში არსებობდა! სწორედ ამ რეპრესიების მსხვერპლი გახდა პაოლო იაშვილიც. ცნობილია, რომ ის არაერთხელ გამოიძახეს უშიშროების სამსახურში და სხვათა დასმენა მოსთხოვეს. მან დიდი წამება გამოიარა. მაგრამ ტანჯვას ღირსეულად და ძალიან ვაჟკაცურად იტანდა, მიუხედავად იმისა, რომ უმძიმეს პირობებში იმყოფებოდა! ბოლოს ვერ გაუძლო ზეწოლას... მწერალთა კავშირის მორიგი სხდომის დროს სხვა ოთახში გავიდა და თავი მოიკლა. ეს იყო მეხის დაცემის მსგავსი, ეს იყო შემაძრწუნებელი მოვლენა! მართალია, მან თავი მოიკლა, მაგრამ ეს იმიტომ გააკეთა, რომ არ გაეცა თავისი მეგობრები – მწერლები, პოეტები; იგი ბერიასთან იყო გამოძახებული და ამ სხდომის შემდეგ მას უნდა შეხვედროდა...**

**ასეთი წერილი დაუტოვა მან თავის ქალიშვილს – მედეას; იგი წერდა: ჩემთვის საუკეთესო გამოსავალი თვითმკვლელობააო. ამას იმიტომ წერდა, რომ იცოდა, ვეღარ გაუძლებდა იმ წამებას, რომელიც მას ელოდა და მეგობრების დასმენას სიკვდილი არჩია!**

**პაოლო იაშვილი იყო ერთ-ერთი საუკეთესო მწერალი და პოეტი, ერთ-ერთი უერთგულესი შვილი საქართველოსი!**

**1937 წლიდან – დღემდე მისთვის ეკლესიას არ ულოცია. მას არ აქვს წესი აგებული და აი, დღეს, ღვთის მადლითა და წყალობით, შესრულდება პირველი პანაშვიდი მისი სულისთვის“...**



* * *

ამ ფაქტთან დაკავშირებით „კვირაძალის“ მკითხველს დღეს კიდევ ერთ სრულიად უნიკალურ მასალას ვთავაზობთ.

ცნობილია, რომ „ცისფერყანწელთა“ უკანასკნელი მოჰიკანი **სერგო კლდიაშვილი** ცხოვრების ბოლო წლებში დაბრმავდა.

იგი, თვალისჩინდაკარგული, თვლიდა, რომ ვერ მოასწრო ყველაზე მთავარი: დაეწერა „ცისფერყანწელთა“ ორდენის ბიოგრაფია... თვალცრემლიანი იგონებდა ტიციანს, პაოლოს... ამბობდა, რომ მათი წასვლის შემდეგ სხვაგვარი გახდა მისი ცხოვრება...

ბოლოს განმარტოვდა, ბატონი სერგო თავისი ჩინდაკარგული თვალებით, სივრცეში უკუნეთს სიბნელეს უმზერდა და აკანკალებული ხელით წერდა...

**„პაოლოს უკანასკნელი დღე“ სერგო კლდიაშვილის შექმნილი უკანასკნელი სტრიქონებია...**

ცდილობდა ინტერვალებით დაეწერა, ინტუიციით გამოჰყავდა სტრიქონები, ამ ძალიან ძნელად გასარჩევ ავტოგრაფში, ზოგი რამ სამწუხაროდ, ვერ იკითხება...

და მაინც, ეს მეგობრის უკანასკნელი რეკვიემია მეგობარზე, რაც, ალბათ, აუცილებლად უნდა დაწერილიყო... ბატონი სერგო, გაუნელებელი ტკივილისა და ემოციების გამოხატვის გარეშე, სრულიად დოკუმენტურ სურათს ხატავს, დიდ ყურადღებას უთმობს დეტალიზაციას... და ბოლოს, ხელნაწერი მაინც წყდება, დაუმთავრებელია. რისი წაკითხვაც ჩვენ ვერ შევძელით, მრავალწერტილით გამოვყავით.

## პაოლო იაშვილის უკანასკნელი დღე

*1937 წელიწადი. ეს დღე უნდა გავიხსენო. მწერალთა კავშირში დაგვიძახეს. საღამო ხანია. არც თუ ბევრნი ვართ. თავმჯდომარეობს კავშირის თავმჯდომარე დემეტრაძე. აკაკი ბელიაშვილის საქმე უნდა გაირკვეს. ბრალდება აქვს ბელიაშვილს: სადღაც ცუდად უხსენებია სტალინი. ბელიაშვილი შეშფოთებულია.*



*თავმჯდომარემ მოსთხოვა აღიაროს დანაშაული.*

*ბრალდებული კატეგორიულად უარყოფს და... დარბაზში სიჩუმეა. მხოლოდ ბელიაშვილის ხმა ისმის. აკაკი... არ ცდილობს თავის დაცვას...*

*მესამე თუ მეოთხე რიგში გვერდიგვერდ ვზივართ პაოლო იაშვილი, ალექსანდრე ქუთათელი და მე.*

*პაოლო ჩუმი ხმით მიმართავს ქუთათელს. სიგარეტს სთხოვს. ქუთათელმა მიაწოდა და... ეუბნება: როდემდე უნდა იყო ჩემს ხარჯზე, პაოლო არაფერს პასუხობს. პაპიროსს მშვიდად ანთებს. ბელიაშვილი ისევ და ისევ უარყოფს ბრალდებას, მაგრამ თავმჯდომარე არ ეშვება და ისევ კატეგორიულად მოითხოვს, აღიაროს, რა თქვა სტალინზე. ისევ და ისევ ნერვიული, განწირული ხმა ბელიაშვილის. ბელიაშვილი მოითხოვს გამოაცხადოს თავმჯდომარემ ვინ არის ის, ვისთანაც (ვისაც) უთხრა. დარბაზში ისევ სიჩუმეა. მხოლოდ დემეტრაძის მოთხოვნა ისმის და ბელიაშვილის სასოწარკვეთილი ხმა...*

*მოითხოვს მთქმელი ამხილოს დემეტრაძემ.*

*პაოლო ადგა, კარებისკენ ნელა მიემართება და გადის, დარბაზში ისევ დემეტრაძის და ბელიაშვილის ხმა ისმის.*

*„აღიარე, – მოითხოვს დემეტრაძე.*

*– რა ვაღიარო? – ხმას უმატებს ბელიაშვილი – არაფერი მითქვამს და რა ვქნა, რა ბრალდება ავიღო ჩემს თავზე?“*

*დარბაზში ისევ სიჩუმეა. ასე გავიდა რამდენიმე წუთი.*

*უეცრად თითქოს სროლის ძლიერი ხმა ისმის...*

*ვინ გაისროლა, რა მოხდა?!*

*ორიოდე წუთი და დერეფნიდან კივილი გაისმა. მხოლოდ ერთი (არ მინდა მისი ვინაობა დავასახელო) ადგა და გაიჭრა გასასვლელისკენ. ქალის კივილი შეწყდა. დარბაზში წამოდგნენ, მაგრამ არავინ მოელოდა, რომ ის ახალგაზრდა, რომელიც რამდენიმე წუთის წინ გაიჭრა დარბაზიდან... შეშფოთებული შემოდის, შემობრუნდა და ყვირის: „თავი მოიკლა, პაოლომ თავი მოიკლა!“*

*ამბავის სანახავად დარბაზიდან გავვარდით. საშინელება დავინახეთ: მეორე სართულზე კედელთან ადამიანი იყო ჩამოკიდებულივით...*

*იმ პატარა ოთახიდანაც, მემანქანეთა ოთახიდან, საიდანაც ტირილი ისმოდა, ჩანდა, პაოლოს თავის ქალის უკანა ნაწილი იატაკზე ეგდო. სისხლი კედლიდან მოწვეთავდა. პაოლოს თოფის ლულა პირში ჰქონდა გაჩხერილი. ზევიდან რომ ჩამოვედი, ტიციან ტაბიძე დავინახე. სახე დაფარული ჰქონდა ხელისგულებით. დარბაზში მყოფნი ჩუმად ისხდნენ. ქუჩაში გასასვლელი კარები დაკეტილი იყო. გასვლა ვერავის მოეხერხებინა. ქუჩაში მხოლოდ დემეტრაძე გავიდა.*

*ტელეფონით გაეგო დემეტრაძეს, რომ პირველი მდივანი ბერია პლეხანოვის პროსპექტზე მდებარე ბაღში კონცერტზე იყო. იქ, როგორც შემდეგ გავიგეთ, დემეტრაძე წასულიყო ბერიას სანახავად. დემეტრაძე მივიდა ბერიასთან და მოახსენა პაოლოს თვითმკვლელობის ამბავი. ბერიამ გულცივად უთხრა: – შენ რას ღელავ აგრე, მოიკლა და მოიკლა. რა მოხდა ასეთი, წადით!*

*გვიან გაგვიღეს კარი და გაგვიშვეს.*

*ბერიასგან დაბრუნებულმა დემეტრაძემ გაგვაფრთხილა, არსად გვეთქვა პაოლოს თვითმკვლელობის შესახებ. ამასთანავე წინადადება მოგვცა, ხვალ შუადღისას მივსულიყავით. დავეთანხმეთ. ხმაამოუღებლად გავეშურეთ თავთავიანთი სახლებისკენ.*

*არ მახსოვს, როგორ გავათენე ღამე. დილაადრიანად ადრე, ისევ მწერალთა კავშირში მოვიყარეთ თავი. პაოლოს გვამი შინ წაეღოთ... თითქმის ყველანი მოსულიყვნენ.*

*სიჩუმე იყო...*
*ჩუმად...*

მასალები მოამზადა
ნინო ხოფერია

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# საქართველოს შურისძიების ეშინია

**ოთხშაბათს საქართველოს მთავრობამ შეშფოთება გამოთქვა იმასთან დაკავშირებით, რომ ცოტა ხნისწინანდელი ტერორისტული აქტები მოსკოვში შეიძლება გამოყენებული იქნეს საბაბად რუსეთის ჯარების აგრესიის განახლებისთვის ქვეყნის წინააღმდეგ**

ამ დროს ისლამისტი მეამბოხეები რუსეთის ჩეჩნეთის რეგიონიდან კისრულობენ პასუხისმგებლობას მეტროში მომხდარი აფეთქებების გამო, რომლის შედეგადაც დაიღუპა 39 კაცი, ამ დროს ჩრდილოეთ კავკასიაში მოხდა კიდევ ორი სხვა ტერაქტი, რომლებმაც 12 კაცის სიცოცხლე შეიწირეს.



ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ გიგა ბოკერიამ აღნიშნა, რომ შეშფოთებულია რუსეთის მაღალი რანგის ჩინოვნიკების ბოლო განცხადებებით, რომლებიც ვარაუდობენ, რომ მოსკოვში მომხდარი ტერორისტული აქტების უკან, რაც მოხდა თვითმკვლელი ტერორისტი ქალების მიერ დილის პიკის საათში, დგას საქართველო.

„იმედი მაქვს, რომ ეს ასე არ არის, მაგრამ ეს ბრალდებები, ექვსგარეშეა, იწვევენ განგაშს: რუსეთი მეტროში მომხდარ ტერორისტულ აქტებს საბაბად გამოიყენებს საქართველოსთვის დარტყმის მისაყენებლად“, – თქვა ბოკერიამ სატელეფონო ინტერვიუში ჟენევიდან.

საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე საუბრობდა რუსეთის უშიშროების საბჭოს მოქმედი მდივნის და უშიშროების ფედერალური სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელის ნიკოლაი პატრუშევის განცხადების შესახებ. ოთხშაბათს გაზეთმა „კომერსანტმა“ გამოაქვეყნა ინტერვიუ ბატონ პატრუშევთან, რომელმაც თქვა: „ჩვენ გვქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საქართველოს სპეცსამსახურების ცალკეული თანამშრომლები ინარჩუნებენ კონტაქტებს ტერორისტულ ორგანიზაციებთან ჩრდილოეთ კავკასიაში. ჩვენ უნდა შევამოწმოთ ეს ვერსიაც მოსკოვში მომხდარ ტერაქტებთან დაკავშირებით“.

წარსულში მოსკოვი უკვე სდებდა ბრალს საქართველოს ალ-ყაიდას ტერორისტებისთვის თავშესაფრის მიცემისა და ჩეჩენ ბოევიკებთან საიდუმლო თანამშრომლობის გამო.

ბატონმა ბოკერიამ განაცხადა, რომ ამ ზეპირ მტკიცებებს არ აქვთ არანაირი დამადასტურებელი საბუთი, და მიუთითა იმაზე, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ორშაბათს გამოთქვა თავისი თანაგრძნობა ტერაქტებთან დაკავშირებით.

ბატონმა პატრუშევმა ინტერვიუში განაცხადა, რომ ბატონ სააკაშვილის ქცევა „განუჭვრეტელია“.

ოთხშაბათს ჩეჩენი მეამბოხეების ლიდერმა დოკუ უმაროვმა ინტერნეტში გამოაქვეყნა ვიდეო, სადაც იკისრა პასუხისმგებლობა მოსკოვში მომხდარ ტერაქტებთან დაკავშირებით. ეს მოხდა რამდენიმე საათის შემდეგ, რაც დაღესტანშიც ადგილი ჰქონდა ტერაქტს, რომლის დროსაც 12 კაცი დაიღუპა.

რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა თქვა, რომ ტერორისტული აქტები დაღესტანსა და მოსკოვში – ეს არის „ერთი ჯაჭვის რგოლები“.

დაღესტანი და ჩეჩნეთი – ესენი არიან მშფოთვარე ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონები. ისინი ესაზღვრებიან საქართველოს, ყოფილ საბჭოთა სახელმწიფოს, რომელიც დღეს დამოუკიდებელი ქვეყანაა.

2008 წლის აგვისტოში რუსეთის ძალები შეიჭრნენ საქართველოს ტერიტორიებზე – სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, შემდეგ აღიარეს ორივე პროვინციის დამოუკიდებლობა, მიუხედავად პროტესტებისა გაეროსა და ნატოს მხრიდან. რუსეთის დაახლოებით 12 ათასი სამხედრო მოსამსახურე რჩება ამ ტერიტორიებზე. უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში რუსეთმა ამ რესპუბლიკების ტერიტორიაზე ააგო სამხედრო ბაზები, რაც ეწინააღმდეგება შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. შეგახსენებთ, რომ შეთანხმება დაიდო საფრანგეთის შუამდგომლობით.

ხანმოკლე ომმა სერიოზული ზიანი მიაყენა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს და შოკში ჩააგდო ევროპაც.

სვანტე კორნელმა, ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტში პერსპექტიული საერთაშორისო გამოკვლევების სკოლის ცენტრალური აზიისა და კავკასიის გამოკვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელმა, თქვა, რომ მოსკოვის ამ ცოტა ხნის წინანდელი ბრალდება არის „სახიფათო შაბლონის“ ნაწილი.

„თუ ახალ უნიადაგო მტკიცებებს განვიხილავთ საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე რუსეთის ბაზების მშენებლობასთან კონტექსტში, რუსეთის მიერ საფრანგეთის „მისტრალის“ კლასის საბრძოლო ხომალდების შესყიდვის გეგმასთან ერთად, აგრეთვე საქართველოს ხელმძღვანელობის გაუთავებელი ლანძღვის ასპექტში რუსეთის მთავრობის მხრიდან, შეიძლება შევნიშნოთ, რომ მოქმედება ხდება სახიფათო შაბლონის შესაბამისად“, – თქვა მან.

ბატონმა ბოკერიამ აგრეთვე აღნიშნა, რომ ჟენევაში სამხრეთ ოსეთთან და აფხაზეთთან დაკავშირებული მოლაპარაკების მსვლელობის დროს ის ადრე სთავაზობდა – შეშფოთების ნებისმიერი საბაბი განეხილათ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინთან ერთად.

მაგრამ ბატონმა კარასინმა ამ წინადადებას არ უპასუხა, თქვა ბატონმა ბოკერიამ.

The Washington Times

დედამიწის ზურგზე



**თურქეთში გაათავისუფლეს 19 სამხედრო, რომლებსაც ბრალი ედებოდათ სახელმწიფო გადატრიალების მომზადებაში**

სტამბოლის სასამართლომ განაცხადა, რომ არ არსებობს სერიოზული საბუთები მათი პასუხისმგებლობაში მიცემის შესახებ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასთან დაკავშირებით. უკანასკნელი დღეების განმავლობაში აქ 28 სამხედრო გაათავისუფლეს.

* * *

**პუტინის პირველი ვიზიტი ვენესუელაში: რუსეთი გასცემს კრედიტს იარაღის შესაძენად და გააფორმებს ხელშეკრულებას ნავთობის ერთობლივი საწარმოს შესახებ**

რუსეთის ფედერაციის პრემიერ-მინისტრის ვლადიმერ პუტინისა და ვენესუელის პრეზიდენტის უგო ჩავესის მოლაპარაკებაზე საუბარი უმთავრესად, იქნება სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსსა და სამთომოპოვების დარგზე. ხელი მოეწერება ოთხ დოკუმენტს ერთობლივი საწარმოს შექმნის შესახებ ნავთობის გადამუშავების საქმეში. მოლაპარაკების მეორე მნიშვნელოვანი თემა სამხედრო ტექნიკური თანამშრომლობა იქნება.

* * *

**ტერაქტებს მოსკოვში ალ-ყაიდა ხელმძღვანელობდა, მიაჩნიათ პაკისტანში**

თვითმკვლელ ტერორისტებს ამზადებდნენ საზღვარზე პაკისტანსა და ავღანეთს შორის, წერენ პაკისტანელი ჟურნალისტები. ასეთ შემთხვევაში აფეთქებები მიწისქვეშ – ეს არის ბინ ლადენის უზარმაზარი გეგმების გამოხმაურება. შეგახსენებთ, რომ ეს გეგმები ითვალისწინებენ ისლამური საამიროს შექმნას ცენტრალური აზიის ტერიტორიაზე და რუსეთის მუსლიმანურ რესპუბლიკებში.

* * *



**ისრაელის თვითმფრინავებმა ღაზის სექტორს 13 დარტყმა მიაყენეს**

ამჟამინდელი დარტყმები – ისრაელის ყველაზე მასშტაბური ოპერაციაა უკანასკნელი წლის განმავლობაში. ოთხი დარტყმა მიაყენეს ქალაქ ხან-იუნისს, სადაც ამასწინათ „ჰამასის“ ბოევიკებთან შეჯახების დროს დაიღუპა ორი ისრაელელი ჯარისკაცი. წინა დღეებში ისრაელელები ფურცლებით ავრცელებდნენ გაფრთხილებას შურისძიების აქციის შესახებ.

* * *

**რუსეთის ფედერაციისა და ბელარუსის ერთიანობის დღესასწაული: ლუკაშენკო ორიენტაციას ამერიკაზე შეცვლის**

ვენესუელიდან დაბრუნებულმა ალექსანდრე ლუკაშენკომ მოგზაურობის შედეგებთან დაკავშირებით გამართული შეხვედრის დროს გააკრიტიკა მოსკოვი მისი ექსპანსიონისტური პოლიტიკის გამო და განაცხადა, რომ საჭიროა ეძებონ ახალი ბაზარი პროდუქციის გასაღებისთვის. მაგრამ არა რუსეთში, ან ევროპაში, არამედ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

პერსპექტივა

# გამცილებლებო, ფხიზლად!

**სამომხმარებლო კალათის ღირებულება დღითი დღე კატასტროფული სიჩქარით რომ იზრდება, ყველამ კარგად ვიცით. ის პროდუქტი, რომელსაც მომხმარებელი თუნდაც საახალწლოდ ათ ლარად შეიძენდა, ახლა 12-13 ლარი მაინც დაუჯდება. ორი და სამი ლარი, ერთჯერადად გაცემული, ცხადია, ის თანხა არ არის, რომ ვინმეს დაუძლეველი პრობლემა შეუქმნას, მაგრამ როცა ლაპარაკია მთელი თვის მანძილზე ოჯახის უზრუნველყოფაზე, საკითხი სხვა მასშტაბს იძენს.**

იმის მიუხედავად, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გიორგი ქადაგიძემ ცოტა ხნის წინათ მაკროეკონომიკური ტენდენციების შესახებ ლაპარაკისას აღნიშნა, რომ მომდევნო სამი წლის განმავლობაში ინფლაცია მხოლოდ ექვს პროცენტს შეადგენს, ხოლო ბოლო დღეებში ლარის კურსის რყევა დოლართან მიმართებაში **„მხოლოდ აჟიოტაჟია და ეროვნულ ვალუტას არაფერი ემუქრება“**, ბოლო ორი თვის განმავლობაში ლარის მყიდველობითი უნარი 0,2-0,3 პუნქტით დაეცა და, შესაბამისად, ინფლაციის დონეც საგრძნობლად გაიზარდა.

ბატონმა ირაკლი ქადაგიძემ ისიც განაცხადა, რომ წლეულს ეკონომიკური ზრდის საპროგნოზო მაჩვენებელია ორი პროცენტი, რაც ლარის კურსის ექვსი თეთრით გაიაფების პირობებში ექსპერტების ცხარე კრიტიკის საგანია. მათი აზრით, **მთავრობამ საზოგადოებრიობას დაუფარავად უნდა ამცნოს იმ რისკების შესახებ, რომელთა საფრთხის წინაშე ქვეყანა წლეულს დგას.** ამის კარგ მაგალითს, ფაქტობრივად, ყველა ჩვენი პარტნიორი ქვეყნის მთავრობა იძლევა. ამასთან მიაჩნიათ, რომ, ერთი მხრივ, დონორი ქვეყნებისა თუ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მხრიდან გადასახადების ადმინისტრირების გამკაცრების მოთხოვნის შესრულება, მეორე მხრივ, ამის მიმართ მოსახლეობის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილის ნეგატიური დამოკიდებულება აღმასრულებელ ხელისუფლებას სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის გაზრდის საშიშროების წინაშე აყენებს.



იმის მიუხედავად, რომ წლევანდელ სახელმწიფო ბიუჯეტში ინფლაციის წლიური დონისა და ლარის გაცვლითი კურსის საპროგრამო მაჩვენებლების შეუტანლობამ მრავალი კრიტიკული შენიშვნა გამოიწვია, ეკონომისტებისა და ფინანსისტების სოლიდურ ჯგუფს მაინც მიაჩნია, რომ მიმდინარე საყოველთაო კრიზისის პირობებში ეს მაინც სწორი ნაბიჯი იყო, ვინაიდან **ამ მაჩვენებელთა გაუმჯობესება-გაუარესება არა საკუთრივ მთავრობის მიერ ეკონომიკური პროცესების მართვის სისწორე-არასისწორეზე, არამედ გარე ფაქტორებზეა დამოკიდებული.** ამ გარემოებიდან გამომდინარე, ერთობ მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინება, რომ **ამერიკის შეერთებულ შტატების ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ და ევროპის ცენტრალურმა ბანკმა მეტად მნიშვნელოვანი ფულადი ემისია განახორციელეს,** საიდანაც, ცხადია, როგორც დოლარების, ასევე ევროების ნაწილი საქართველოს კომერციულ ბანკებში აღმოჩნდა, რა მიზეზითაც მათ ჭარბი ლიკვიდობა გაუჩნდათ.

არ არის საჭირო დიდი ტვინის ჭყლეტა იმის თაობაზე, რომ **დოვლათით გაუმაგრებელი ფულის მასის უსაზღვრო მოჭარბება აუცილებლად გამოიწვევს მნიშვნელოვან ინფლაციას, რასაც, თავისთავად, უარესი უბედურება – ჰიპერინფლაცია მოჰყვება.** ჭარბი ფულადი მასის ძირითადი ნაწილი, ყოველ შემთხვევაში საქართველოში, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, სახაზინო ვალდებულებებშია ჩადებული, ხოლო სესხები ფაქტობრივად არ გაიცემა. **ამის მიზეზი, ერთი მხრივ, ბანკების ფრთხილი პოლიტიკაა, რომლებიც მთელ რიგ პოტენციურ მსესხებელს ეჭვის თვალით უცქერენ, მეორე მხრივ ის, რომ თავად მეწარმეები ახალი კაპიტალდაბანდებებს არ ახორციელებენ ისევ ეკონომიკური კრიზისის რეალიებიდან გამომდინარე. სამეწარმეო პასიურობის კიდევ ერთი მიზეზი შარშან საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 70- პროცენტიანი (!) კლებაცაა და თუმცა ეს პროცესი უმსხვილეს განვითარებულ ქვეყნებში ასევე მწვავედ დგას, ჩვენთვის ეს ბევრი ვერაფერი შვებაა.**

უნდა ითქვას, რომ მსოფლიო ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის დაძლევის პროგნოზირებას მსოფლიოს წამყვანი ექსპერტები ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლების მიერ წარმოებული პოლიტიკის პერსპექტიული განვითარების გზებს უკავშირებენ, რომლებზეც, ცხადია, დიდადაა დამოკიდებული საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა. აქედან გამომდინარე, ჩვენ ერთგვარად იმ საერთო სარგებლობის საძილე ვაგონს ვგავართ, რომელიც, მართალია, რამდენადმე სიჩქარედაკარგულ, მაგრამ მაინც კვლავინდებურად ყველაზე მძლავრ ლოკომოტივსაა მიბმული, თუმცა მის გამცილებლებს არხეინი ძილისთვის ერთი წუთიც არა აქვთ.

ოთარ ტურაბელიძე

დიდი ტერორი?

ალექსანდრ ელისეევი

# 1937 წლის გამოცანის ამოხსნა

## „საუკუნის დანაშაული“ თუ ქვეყნის გადარჩენა?

სწორედ კაგანოვიჩი ესწრებოდა ბუხარინისა და რიკოვის სოკოლნიკოვთან პირზე წაყენებას, როდესაც ეს უკრაინელი იძლეოდა ჩვენებებს „მემარჯვენეების“ წინააღმდეგ. საუბრის შემდეგ კაგანოვიჩმა ბუხარინს უთხრა: „სულ ცრუობს, ბ..., თავიდან ბოლომდე! წადით, ნიკოლაი ივანოვიჩ, რედაქციაში და მშვიდად იმუშავეთ“. როგორი გულის ამაჩუყებელი მზრუნველობაა!

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ კაგანოვიჩი განწყობილი იყო არა იმდენად სტალინის, რამდენადაც მოლოტოვის წინააღმდეგ. როდესაც მთავრობის თავმჯდომარე იყო, მოლოტოვი მრავალჯერ შეეცადა ჭკუაზე მოეყვანა უწყებათა ბარონები. ჩვენ უკვე ვნახეთ, როგორი სერიოზული უთანხმოება ჰქონდა ორჯონიკიძესთან, რომელიც ცდილობდა გამოეშვა ნაკლები პროდუქცია კაპიტალდაბანდების ზრდის დროს. მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში კაგანოვიჩის პოზიცია 1936 წელს ობიექტურად ანტისტალინური იყო. ცხადია, სწორედ ამან მიგვიყვანა ოპოზიციის მკვეთრ გაძლიერებასთან, რომელიც მოლოტოვის სისხლს ითხოვდა. არსებითად, ოპოზიცია უკვე წყვეტდა ოპოზიციურობას, ის ხელისუფლება ხდებოდა.

მოგვიანებით, როდესაც ბელადი თავისი დროებითი წარუმატებლობის რევანშს აიღებს, კაგანოვიჩი დაუბრუნდება სტალინის პოზიციებს. სტალინის თვალში რეაბილიტაციის მცდელობით ის გააჩაღებს უპრეცედენტო კამპანიას მავნებლებთან ბრძოლაში თავის სახალხო კომისარიატში. და ისე მოხდება, რომ ამ „ერთგულ მოღალატეს“ აპატიებენ.

იმის შესახებ, რომ სტალინისტების რიგები შედრკა, მოწმობს „ბაბუა კალინინის“ ქცევა. გაზეთ „იზვესტიის“, შემდეგ კი „ნოვი მირის“ ყოფილი რედაქტორი ი.მ.გრონსკი საუბრობს იმ სიტყვების შესახებ, რომლებიც ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ წარმოთქვა ბელადის მისამართით 1936 წელს: „სტალინი — ეს ლენინი არაა. ლენინი მთელი ათი თავით მაღლა იდგა მის გარემომცველებთან შედარებით, ის პატივს სცემდა ყველა განათლებულ, ჭკვიან, გონიერ მუშაკს და ცდილობდა მის შენარჩუნებას. ლენინთან ყველა მუშაობდა — ტროცკიც, ზინოვიევიც, ბუხარინიც. სტალინი კი ეს ის არაა — მას არ გააჩნია არც ლენინისოდენი ცოდნა, არც გამოცდილება, არც ავტორიტეტი. მას საქმე ამ ხალხის ჩამოშორებისკენ მიჰყავს“. კალინინი არც ადრე სცემდა დიდად პატივს სტალინს. 20-იან წლებში ის გენერალურ მდივანზე ამბობდა: „ეს ცხენი ოდესმე ჩვენს საზიდარს თხრილში ჩააგდებს“. თავისი შეხედულებებით ის ახლოს იყო ბუხარინთან და რიკოვთან. და სტალინის მხოლოდ უდრეკმა ძალისხმევამ აიძულა მოემშაკო „ბაბუა“, თავი რომ მიამიტად მოჰქონდა, მტკიცედ ჩამდგარიყო სტალინელების რიგებში. და როგორი გაღიზიანება უნდა დაწყებულიყო სტალინის გუნდში, რომ ამ ფრთხილ „მცენარეს“ რაიმე წამოსცდენოდა ბელადზე? რასაკვირველია, შემდეგ კალინინი დაბრუნდა უკან ხალხთა მამასთან, რომელიც მამასავით აპატიებს მას. სხვათა შორის, ეს ფაქტი ისევე, როგორც კაგანოვიჩის პატიება, კიდევ ერთხელ უარყოფს მითს სტალინის ზეშურისმაძიებლობის შესახებ.

ოპოზიციის გაძლიერება ძალუმად აისახა ქვეყნის საგარეო პოლიტიკაზე. ოპოზიციას სურდა გაეგრძელებინა სახალხო ფრონტის თავისი წინანდელი პოლიტიკა. ამასთან დაკავშირებით მან მიაღწია იმას, რომ სსრ კავშირმა დახმარება გაუწია რესპუბლიკურ ესპანეთს ამბოხებული გენერალ-ნაციონალისტ ფ.ფრანკოს წინააღმდეგ. რესპუბლიკელებისთვის მხარდაჭერა სტალინს აშკარად არ უნდოდა. მას სულაც არ ახარებდა დაპირისპირების პერსპექტივა გერმანიასთან და იტალიასთან, რომლებიც მფარველობდნენ ამბოხებულ გენერალს. და რაც მთავარია — რისთვის? მემარცხენე ძალების გამარჯვება ესპანეთში ბელადს სულ არ სჭირდებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის მხარს დაუჭერდა ესპანელ კომუნისტებსა და სოციალისტებს ჯერ კიდევ 1934 წელს, ასტურიის პროვინციაში მუშათა აჯანყების დროს (რაც არ მომხდარაძ. ესპანეთი გადაჭედილი იყო ტროცკისტებით, ანარქისტებითა და სხვა მემარცხენეებით, რომლებიც მტრულად იყვნენ განწყობილი ესპანეთის სტალინური კომპარტიისადმი. პოლიტიკურ ბრძოლაში თუ ისინი გაიმარჯვებდნენ, ესპანეთი სავსებით შეიძლება გამხდარიყო კომუნისტური პროექტების რეალიზაციის პოლიგონი, რაც არაფრით არ შეესაბამებოდა სტალინური ეროვნული ბოლშევიზმის სქემას. ასეთი საფრთხე კი რეალურად არსებობდა. იგივე ანარქისტები აკონტროლებდნენ ბევრ რაიონს, სადაც ადგილობრივ მოსახლეობას ატერორებდნენ, ხურავდნენ და ანგრევდნენ კიდეც მონასტრებს. საერთოდ რესპუბლიკურ ესპანეთში თავს იყრიდა ავანტიურისტული ბრბო მთელი მსოფლიოდან, ქმნიდა ნოყიერ ნიადაგს აშკარა და ფარული ტროცკისტებისთვის.

მნიშვნელოვანი ფაქტი. ორმა დაუბრუნებელმა, რომლებსაც ეკავათ თვალსაჩინო პოსტები საბჭოთა დაზვერვაში, ი.რაიასმა და ზემოთ უკვე ხსენებულმა კრივიცკიმ გადაწყვიტა — განდგომოდნენ სტალინს და მხარი დაეჭირათ ტროცკისთვის ჯერ კიდევ 1936 წელს. მაშინ, თავი შეეკავებინათ ამ ნაბიჯისგან, მათ უკარნახა მხოლოდ იმ სურვილმა, რომ გამოეყენებინათ თავიანთი პოსტები დაზვერვაში ესპანეთის რევოლუციის მხარდასაჭერად.

ყოველივე ამის გათვალისწინებით, სტალინმა თავდაპირველად გადაწყვიტა მხარი დაეჭირა რესპუბლიკელებისთვის, დაიკავა ჩაურევლობის პოზიცია. 1936 წლის სექტემბრის პირველივე რიცხვებში ლიტვინოვი მადრიდში საბჭოთა ელჩს მ.როზენბერგს სწერდა: „საკითხი ესპანეთის მთავრობისთვის დახმარების შესახებ ჩვენთან ბევრჯერ განიხილეს, მაგრამ მივედით დასკვნამდე, რომ შეუძლებელია რაიმეს გაგზავნა აქედან“. და მაინც, 6 სექტემბერს ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება მიჰყიდოს რესპუბლიკას თვითმფრინავები მექსიკის მეშვეობით. ესე იგი სახეზეა სერიოზული შემობრუნება ხელმძღვანელობის განწყობაში, რომელშიც შეუძლებელია არ დავინახოთ შინაპარტიული ბრძოლის გამოვლინება.




ამ გადაწყვეტილებას, სხვათა შორის, სამი თვის განმავლობაში საბოტაჟს უცხადებდა, ცხადია, თავად სტალინი, რომელსაც რეზონულად მიაჩნდა, რომ გასაყიდად გათვალისწინებული თვითმფრინავები უფრო მეტად ჩვენს არმიას გამოადგებოდა. ინიციატივა გადავიდა ლენინური გვარდიის წარმომადგენლებზე, რომლებიც ინერციით ყოფილი ინტერნაციონალიზმის კატეგორიებით აზროვნებდნენ და რაიმეს გადათამაშება უკვე შეუძლებელი იყო.

თუმცა სტალინმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ თავიდან აეშორებინა „სოციალისტური რევოლუცია“ ესპანეთში. სწორედ მან და არა ფრანკომ გადაარჩინა ესპანელები ბოლშევიზმის საშინელებებისგან, რასაც გაიმეორებდნენ ამ ქვეყანაში მემარცხენე სოციალისტები, ანარქისტები, ტროცკისტები. გაიმეორებდნენ, სტალინს რომ ამის ნება მიეცა.

მაგრამ სსრ კავშირის ბელადმა რევოლუციას უბრძანა: „შეჩერდი!“ 1936 წლის 21 სექტემბერს მან მოლოტოვთან და ვოროშილოვთან ერთად ესპანეთის პრემიერ-მინისტრს ლ.კაბალიეროს გაუგზავნა დეპეშა. მასში გამოთქმული იყო სურვილი, თავი შეეკავებინათ წვრილი და საშუალო ბურჟუაზიის ქონების კონფისკაციისგან, ეზრუნათ გლეხობის ინტერესებზე, მოეზიდათ თანამშრომლობისთვის არა მხოლოდ მემარცხენე ორგანიზაციების წარმომადგენლები. კომუნისტებს კი ურჩევდნენ დაევიწყებინათ ყოველგვარი რევოლუციის შესახებ.

და მათ ეს დაივიწყეს. ესპანეთის კომპარტიამ ორიენტაცია საშუალო კლასზე აიღო და გადაწყვიტა ლაპარაკი უფრო მეტად ეროვნულ დამოუკიდებლობაზე, ვიდრე სოციალიზმზე. სამოქალაქო ომის დროს მისი რიგები ივსებოდა, უმთავრესად, წვრილი მეწარმეებით, ოფიცრებით, ჩინოვნიკებით. არსებითად, ესპანეთის კომუნისტურ პარტიას ეკავა ეროვნული, პატრიოტული სოციალიზმის პოზიცია. მაგრამ მისი ეროვნული სოციალიზმი, ჰიტლერისგან განსხვავებით, თავისუფალი იყო ქსენოფობიისა და შოვინიზმისგან.

ამავე დროს სტალინი იდგა მხოლოდ პრაგმატულ პოზიციებზე. მას უნდოდა მიეღო მაქსიმუმი ესპანეთის რესპუბლიკური მთავრობისგან — სსრ კავშირის ეკონომიკის საჭიროებისათვის. თანაც თავად სამხედრო ჩარევა მინიმუმამდე იყო დაყვანილი. საერთოდ, რესპუბლიკელთა მხარეს იბრძოდა სულ 34 ათასი კაცი. მათგან მხოლოდ 2 ათასი წარმოადგენდა საბჭოთა კავშირს: „584 საბჭოთა მრჩეველი და ინსტრუქტორი, 772 მფრინავი, 354 ტანკისტი, 77 მეზღვაური, 166 მეკავშირე, 140 მესანგრე, 100 არტილერისტი, 204 თარჯიმანი და მცირე ოდენობის პოლიტმუშაკები და ზურგის სპეციალისტები“ (ა.უსოვსკი. სტალინი და ესპანეთის ომიძ.

კავშირი დიდი ოდენობით აწვდიდა ესპანეთს სხვადასხვა შეიარაღებას, მაგრამ ამას აკეთებდა არაუანგაროდ. ჯერ ჩვენ ვიღებდით საფასურს ნაღდად, შემდეგ კი ესპანეთს მივეცით კრედიტი — მისი ოქროს მარაგის ერთი წლის გარანტია, რომელიც გაიტანეს სსრ კავშირში. ესე იგი სტალინმა ესპანეთში წარმატებული კომერციული ოპერაცია განახორციელა. ის, რომ რესპუბლიკელებმა წააგეს, მას დიდად არ აღელვებდა. ძნელად რომ „ხალხთა მამას“ სჭირდებოდა დასავლეთევროპული სოციალისტური რესპუბლიკა, რომელიც გადატენილი იყო სხვადასხვა ტიპის მემარცხენეებით, ტროცკისტებითა და ლიბერალებით. ასეთ წარმონაქმნს ნებისმიერ დროს შეეძლო შემობრუნებულიყო სსრ კავშირის წინააღმდეგ, თანაც „ნამდვილი სოციალიზმის“ დროშით. გმადლობთ, არ მჭირდება!

აი გერმანიასა და იტალიას, რომლებიც ფრანკოს ეხმარებოდნენ, არაფერი სახეირო არ გამოსვლიათ. კაუდილიომ გაიმარჯვა, მაგრამ ხეირი აქედან დიდი არაფერი ყოფილა. ის ხომ ვერც ჩაერთო ომში ინგლისთან სამმხრივი კავშირის მხარეზე. მისგან ელოდნენ, რომ დაეხმარებოდა გიბრალტარის ხელში ჩაგდებაში და ამით გადაჭრიდა სიტუაციას ხმელთაშუა ზღვაში გერმანიისა და იტალიის სასარგებლოდ. მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. ფრანკომ ცინიკურად გაყიდა თავისი მოკავშირეები მიუხედავად იმისა, რომ მათ ყველაფერი გააკეთეს მისი გამარჯვებისთვის. „ესპანეთის მიწაზე იყო 250 000 იტალიელი ჯარისკაცი და ოფიცერი, რომელთაგანაც ოცი ათას ზე მეტმა გაწირა თავი, — წერს ა.უსოვსკი. — დაგვეთანხმეთ, ეს მეგობრისა და მოკავშირისთვის სერიოზულ დახმარებაზე მეტია — თანაც, იყო მომენტები, როდესაც ფალანგისტების სამასათასიანი არმიიდან ასორმოცდაათი ათასი იტალიელი იყო! იტალიის მთელი საბრძოლო ტექნიკა, მისი შეიარაღება, საერთოდ ყველაფერი, რაც ფრანკომ მუსოლინისგან მიიღო, — მოდიოდა უანგარო დახმარების სახით ან, უკიდურეს შემთხვევაში, მოეწოდებოდა სასაქონლო კრედიტის სახით. თუ აღარაფერს ვიტყვით იმის შესახებ, რომ პენსიებს ესპანეთის მიწაზე დაღუპული იტალიელი სამხედროების ოჯახებს უხდიდა იტალია. ესე იგი ყველა ხარჯი მთელი ესპანეთის ეპოპეაში იკისრა მუსოლინიმ — უფრო სწორად, — ჩაწერა იტალიის ბიუჯეტის ზარალში... ჰიტლერმა, პირენეიდან პირველსავე მოწოდებისთანავე, დაუყოვნებლივ გაუგზავნა ფრანკოს დასახმარებლად „კონდორის“ ლეგიონი — სულ იბერიის ნახევარკუნძულზე ბრძოლა მოასწრო ოცდახუთი ათასზე მეტმა გერმანელმა ჯარისკაცმა და ოფიცერმა... ხელფასს გერმანელი სამხედრო მოსამსახურეები გერმანიის ხაზინიდან ღებულობდნენ — იქიდანვე მოდიოდა მივლინების, სადღეღამისო, წარმომადგენლობითი და სხვა ხარჯები. ესე იგი ჰიტლერმა კვლავ გაგზავნა ფრანკოსთვის საბრძოლველად თავისი ჯარისკაცები გერმანიის რაიხის ხარჯზე — რაც კაუდილიოს ერთი პესეტიც არ დასჯდომია“ („სტალინი და ესპანეთის ომი“ძ.

ჰოდა, ისმის კითხვა, ვის მეტი სახელმწიფოებრივი გონება ჰქონდა — სტალინს თუ დუჩეს ფიურერთან ერთად? ჩილელი დიპლომატის მ.სერანოს სიტყვებით, ვინც მსოფლიოს ბევრ ძლიერ პიროვნებასთან იყო დაკავშირებული, ჰიტლერი წუხდა თავისი „ესპანური პოლიტიკის“ გამო. ფიურერი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ გერმანიამ სულ „სხვა ვინმეს“ დაუჭირა მხარი. რა თქმა უნდა, სულ სხვა ვინმე — ფრანკო მარიონეტი იყო ინგლისის გავლენის აგენტის ადმირალ კანარისის ხელში.

ჰიტლერი ძალიან გვიან გამოფხიზლდა. მას იმედი ჰქონდა, რომ ოდესმე რესპუბლიკელი ემიგრანტები მემარცხენე ფალანგისტებთან („ფაშისტებთან“ძ ერთად მოაწყობენ ძლევამოსილ აჯანყებას ფრანკოს წინააღმდეგ. მას აშკარად რესპუბლიკელთა სტალინური კოჰორტა ჰყავდა მხედველობაში. ეჰ, ჰიტლერს რომ ამასთან ერთად სცოდნოდა, რომ სწორედ სტალინი, ვინც ასეთი კადრები გამოზარდა, იყო მსოფლიო რევოლუციისაც და მსოფლიო პლუტოკრატიის მთავარი მოწინააღმდეგე. ისტორია მაშინ სულ სხვა გზით წავიდოდა.

ყურადღებას იპყრობს, რომ „ჰუმანიტისა“ და გერმანოფობის ბუხარინის გამართლება დაემთხვა გადაწყვეტილებას მხარი დაეჭირათ ესპანელი მემარცხენეებისთვის, რომლებიც უპირისპირდებოდნენ ევროპულ ნაციონალიზმს. ასევე საინტერესოა ზინოვიევისა და კამენევის აბსურდული ბრალდება (აგვისტოს პროცესზეძ ნაცისტურ დაზვერვასთან თანამშრომლობის შესახებ. ისინი მემარცხენეები იყვნენ და, უეჭველია, არაფრით არ შეეძლოთ ემუშავნათ ჰიტლერისთვის. ისეთი შეგრძნებაა, თითქოს პროცესის ორგანიზატორები მიუთითებდნენ გერმანიაზე, როგორც მთავარ მტერზე, ამ დროს დემონსტრაციულად უგულებელყოფდნენ უმარტივეს რამეს. ჩვეულებრივად, ყველა „მოსკოვის პროცესის“ ორგანიზებას სტალინს აწერენ, მაგრამ 1936 წელს ზინოვიევისა და კამენევის გასამართლება უნდოდა ყველა უმაღლეს პარტიულ ხელმძღვანელობას, რომელთა შორისაც სტალინი მყარად ვერ გრძნობდა თავს. უფრო მეტიც, ზაფხულ-შემოდგომაზე სტალინური ჯგუფი კარგავს ინიციატივას, უთმობს „მყარ ლენინელებს — ინტერნაციონალისტებს“. ეს ვითარება გასაგებს ხდის მოსკოვის პირველი პროცესის გეგრმანოფობულ შეფუთვას.

აი მესამე პროცესზე კი (1938 წლის მარტიძ, როდესაც სტალინი უკვე გაუსწორდა თავის მოწინააღმდეგეთა უმრავლესობას, საგარეოპოლიტიკური ანტურაჟი სრულიად სხვაგვარი იყო. „მემარჯვენე ტროცკისტებს“ — ბუხარინს, რიკოვს, კრესტინსკისა და სხვებს ბრალს სდებდნენ იმაში, რომ ისინი ცდილობდნენ სსრ კავშირსა და გერმანიას შორის ურთიერთობის ნორმალიზაციის ჩაშლას, თანაც სწორედ 1933 წლიდან, როდესაც ჰიტლერი მივიდა ხელისუფლებაში. პროცესზე ამტკიცებდნენ, რომ „ტროცკისტები-ბუხარინელები“ ჯერ კიდევ 1933 წელს ჩაერთვნენ შეთქმულებაში გარკვეულ წრეებთან ნაცისტურ პარტიაში. თურმე, 1936 წელს მათ განზრახული ჰქონდათ, ჩაეთრიათ გერმანია სსრ კავშირთან ომში. სტალინი აშკარად მიუთითებდა ჰიტლერს იმაზე, ვინც ხელს უშლის ორი სოციალისტური და ეროვნული სახელმწიფოს დაახლოებას. და იგივე მიაპყრობდა მის ყურადღებას, რომ თავად მის პარტიაში არიან ძალები, რომლებიც დაინტერესებული არიან მათს წაკიდებაში. ცხადია, ბელადს მხედველობაში ჰყავდა ანგლოფილები გერმანიის უმაღლეს ხელმძღვანელობაში, ისეთები, როგორიც იყო გესი, რომელიც 1941 წელს ინგლისში გაიქცა.

### „იცავენ“ რადეკს

სავსებით წარმოუდგენელი იქნებოდა, სტალინს უარი ეთქვა ბრძოლაზე და ნება მიეცა, რომ იგი უბრალოდ გადაეყლაპათ. პარტიული კონტროლის კომიტეტის ხელმძღვანელის ეჟოვის მდგომარეობის გამოყენებით ბელადი წავიდა შეტევაზე ორჯონიკიძის სახალხო კომისარიატზე. პირველ ზღუდედ მან აირჩია სერგოს მოადგილე და ყოფილი ტროცკისტი გ.ო.პიატაკოვი. ივლისის ბოლოს დააპატიმრეს მისი ცოლი, 10 აგვისტოს კი მასთან „იმუშავა“ ეჟოვმა. პარტიული კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე გაოცებული იყო პიატაკოვის რეაქციით. მან განაცხადა, რომ არაფრის თქმა არ შეუძლია თავის გასამართლებლად, „გარდა შიშველი სიტყვიერი უარყოფისა“. დამნაშავედ კი მან თავი მიიჩნია მხოლოდ იმაში, რომ არ მიაქცია სათანადო ყურადღება თავისი ცოლის „კონტრრევოლუციურ მუშაობას“. ამ დანაშაულის გამოსყიდვის მიზნით პიატაკოვმა შესთავაზა მას პირადად დაეხვრიტა ყველა ოპოზიციონერი, ვისაც მომავალ პროცესზე სასჯელის უმაღლეს ზომას გამოუტანდნენ. ის მზად იყო დაეხვრიტა საკუთარი მეუღლეც.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 14-61.

ფეხბურთი

# „ბენფიკას“ რენესანსი



**გაჭიანურებული კრიზისის შემდეგ ლისაბონის „ბენფიკამ“, როგორც იქნა, იმ ფეხბურთის თამაში დაიწყო, პორტუგალიასა და თვით აღნიშნულ სახელოვან კლუბს რომ ეკადრება, რაც, უპირველესად, ახალგაზრდა მწვრთნელის ჟოაო ჟესუსის დამსახურებაა.**

დასტურად ეროვნულ ჩემპიონატში ამას წინათ უშუალო კონკურენტ „ბრაგასთან“ მოპოვებული უმნიშვნელოვანესი გამარჯვება – 1:0 და ფინიშამდე ექვსი ტურით ადრე საჩემპიონო რბოლაში ექვსი ქულით დაწინაურება გამოდგება.



ხომ გსმენიათ – მადა ჭამაში მოდისო. ჰოდა, რაღა გასაკვირია, რომ ეუსებიოს მემკვიდრენი საერთაშორისო სარბიელზეც ცდილობენ დაკარგული ავტორიტეტის აღდგენას და პირველ სამიზნედ ევროპის ლიგაში წარმატების მოპოვება დაისახეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ გუნდი უკვე მეოთხედფინალშია გასული და განვლილ ხუთშაბათს ამ ეტაპის პირველი რაუნდის მოგებაც მოასწრო „ლივერპულთან“ – 2:1 (კარდოზო – 2; აგერიძ, პირენეელთა ოცნება უტოპიურად ნამდვილად არ მოგეჩვენებათ.

გარდა რაფაელ ბენიტესის შეგირდთა ბოლოდროინდელი პროგრესისა, რაც უიღბლო სტარტის შემდეგ პრემიერლიგის სატურნირო ცხრილში ჩვეულ წამყვან პოზიციამდე ამაღლებაში გამოიხატა, „ესტადიო და ლუშის“ ბინადართა მოგებას წონას ის ფაქტიც მატებს, რომ მათ მრისხანე მეტოქესთან მძაფრ ბრძოლაში, ტოტალიზატორის ჟარგონით თუ ვიტყვით, ტაიმბოლი დასვეს, ანუ წაგებული პირველივე ტაიმის შემდეგ შეხვედრის ჩარხი წაღმა დაატრიალეს, ეს კი ბევრ რამეზე მეტყველებს. დავძენთ, რომ 30-ე წუთიდან სტუმრები ბაბელმა დააღალატა და მისი გაძევების შემდეგ მეისისაიდელები მინდორზე ათნი დარჩნენ, სამხრეთელთა პარაგვაელმა ბომბარდირმა კარდოზომ კი ორივე გოლი პენალტით გაიტანა.

**საინტერესოდ განვითარდა მოვლენები დანარჩენ პლეი-ოფებშიც, რაშიც მათი შედეგები დაგარწმუნებთ:** „ვალენსია“ – „ატლეტიკო“ 2:2, „ფულჰემი“ – „ვოლფსბურგი“ 2:1, „ჰამბურგი“ – „სტანდარდი“ 2:1.

საპასუხო მატჩები კი ერთ კვირაში გაიმართება, ფინალს კი მაისში ჰამბურგი უმასპინძლებს.

მკითხველმა ლექსი შემოგვაჩვია

## განა სუყველა კაცია?!

განა სუყველა კაცია – ვისაც შარვალი აცვია?
ზოგს კაცნი გაუძარცვია, ზოგს ნათხოვარი აცვია,
ერთი ხომ არაკაცია, მეორე ვითომ კაცია,
განა სუყველა კაცია – ვისაც შარვალი აცვია?
ნეტავი, რატომ ხდება – კაცი კაცს არ ედრება,
ზოგი ოქროთი ერთობა, ზოგიც ჭაობში რჩება,
ნუ გგონია, რომ კაცი ხარ – როცა არავის არგიხარ,
უფრო ცუდია, ძმობილო, მარტო შენთვის თუ ვარგიხარ,
ბუნების კანონს ვერ შეცვლი – ნაძარცვი ვის შერჩენია?!
სხვა მოვა, იგი წაიღებს, სამყარო განა შენია?!
ბევრი იჩემებს კაცობას, სურვილით მართლა მგელია,
ცოტამ თუ იცის მათ შორის: კაცი რომ გერქვას, ძნელია.
კაცი მაშინ ხარ ნათელი, თუ სიტყვა გეთქმის საქები,
არც არვინ გაგიძარცვია, არც ნათხოვარი გაცვია,
სხვის ნაშრომს ვერ მიითვისებ, მოვა და უცებ გაქრება,
ნათხოვარ შარვალს რად იცვამ, დიდი გაქვს, ბიჭო, ჩაგძვრება!
ეჭვი არ არის, გაქრება, ნაძარცვიც, ნათხოვარიცა,
არ ქრება ჩუმად ნათქვამი სიტყვა მართალი კაცისა,
არ ქრება მშვიდად ნათქვამი სიბრძნე, ნამდვილი კაცისა!

**ალეკო ნაცვლიშვილი**
ქ. თბილისი

ჭიდაობა

# ნაკრების კანდიდატები გლდანში გაირკვა



**წლეულს აგვისტოში ბოსნია ახალგაზრდა მოჭიდავეთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. აქ შეჯიბრებისთვის ნაკრების წევრების გამოსავლენად გლდანში ოლიმპიური რეზერვების ცენტრის დარბაზში ორ დღეს გრძელდებოდა ქვეყნის ჩემპიონატი 10 წონით კატეგორიაში. საპრიზო ადგილებისთვის პაექრობაში 280-მდე წარმომადგენელი ჩაება.**

წონითი კატეგორიების მიხედვით კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: ბესიკ ბოლქვაძე (42 კგ.აჭარაძ, ბექა ბუჯიაშვილი (46 კგ, გორიძ, ლევან ცალქალამანიძე (50 კგ.თბილისიძ, ლაშა ბიტარაშვილი (54 კგ. გორიძ, დავით ბუზიაშვილი (58 კგ. ხაშურიძ, ირაკლი მოსიძე (63 კგ. აჭარაძ, ლაშა გიგაშვილი (69 კგ.თბილისიძ, იაკობ პეტრიაშვილი (76 კგ, თბილისიძ, არსენ მარტყოფლიშვილი (85 კგ. დედოფლისწყაროძ, გენო პეტრიაშვილი (100 კგ. გორიძ. საგულისხმოა, რომ ამ უკანასკნელმა ფინალურ ორთაბრძოლაში ორგზის მსოფლიოს და ხუთგზის ევროპის ჩემპიონ ლუკა კურტანიძის ვაჟს – ნოდარ კურტანიძეს სძლია.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თამაზ ბენდიანიშვილმა გვითხრა, რომ საპრიზო ადგილებზე გასული ფალავნები 6 აპრილიდან ვარიანში ორკვირიან საწვრთნელ შეკრებას გაივლიან, შემდეგ ქვეყნის ჩემპიონები ბაქოში აზერბაიჯანის ჭიდაობის ფედერაციის თასზე იასპარეზებენ. პოლონეთის ქალაქ პოზნანში 21-23 მაისს საერთაშორისო ტურნირზე ძალებს გამოცდიან 46,54,63,76 და 100 კილოგრამი წონითი კატეგორიის წარმომადგენლები, რომელთაგან უძლიერესები მსოფლიო ახალგაზრდობის პირველი ოლიმპიური თამაშების საგზურებს დაიმსახურებენ. ივნის-ივლისში ჩვენი ბიჭები თურქეთისა და ირანის ტურნირებზე გამოვლენ. ამის შემდეგ გაირკვევა საბოლოოდ მათი ვინაობა, ვინც სარაევოში კონტინენტის პირველობაზე ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავს.

კალათბურთი

# პარიზისკენ ჰერი, ჰერი

**მართალია, ევროლიგის პლეი-ოფები რეგლამენტით სამ მოგებამდე გრძელდება და გამარჯვებულის გამოსავლენად მაქსიმუმ ხუთი ბრძოლის გამართვაა საჭირო, წლეულს მეოთხედფინალის მონაწილენი ოთხ მატჩში ჩაეტიენ, თუმცა ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ შეხვედრებს სიმძაფრე აკლდა.**

გაუწყებთ დასკვნითი რაუნდის შედეგებს: „რეალი“ – „ბარსელონა“ 78:84 (1:3. სტუმართა უკანახაზელებმა ნავარომ და რუბიომ, შესაბამისად, 21 და 19 ქულა მოაგროვესძ, „პარტიზანი“ – „მაკაბი“ 76:67 (3:1ძ, „ტაუგრესი“ – ცსკა 70:74 (1:3ძ, „პროკომი“ – „ოლიმპიაკოსი“ 70:86 (1:3ძ.

**ამრიგად, ნახევარფინალში მეტოქენი ასე დაწყვილდნენ:** „ბარსელონა“ – ცსკა, „პარტიზანი“ – „ოლიმპიაკოსი“.



*შეგახსენებთ, რომ „ოთხთა ფინალს“ მაისის დასაწყისში პარიზი უმასპინძლებს.*

რაგბი



# ბორჯღალოსნებმა სამხრეთ აფრიკას შეუტიეს

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრები რამდენიმე დღეა, სამხრეთ აფრიკაში, კეიფტაუნის მახლობლად სარაგბო აკადემიის ბაზაზე საწვრთნელ შეკრებას მართავს.** ბორჯღალოსნები იქვე აკადემიის ოცწლამდელთა გუნდს ამხანაგურ მატჩში დაუპირისპირდნენ. პაექრობაში ლევან მაისაშვილის შეგირდებმა გაიმარჯვეს – 41:20. ქართველი მორაგბეები 3 აპრილიდან ქალაქ სან რაისდორფის სარაგბო ფესტივალში ჩაებმებიან.

ბატუტზე ხტომა

# ვარნაში ოქტეტი გაემგზავრება

**თბილისის მერიის გიორგი ეგნატაშვილის სახელობის სპორტის სახეობათა ფილიალის დარბაზში საქართველოს ბატუტზე მხტომელებმა სხვადასხვა სინჯის მედლები გაითამაშეს. ეროვნულ ჩემპიონატში დედაქალაქის, ქუთაისის, აჭარისა და აფხაზეთის 80-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.**

**გაუწყებთ გამარჯვებულთა და პრიზიორთა ვინაობას:**

**სპორტის ოსტატობის პროგრამით. გოგონები.** 1. ლუბა გოლოვინა, 2. ნანა გოგაშვილი, 3. თამარ კაკაშვილი და თეონა ჯანჯღავა. **ვაჟები.** 1. თენგიზ კოშკაძე, 2. ზურაბ ნოზაძე, 3. დიმიტრი ზუტიკოვი.

**ოსტატობის კანდიდატის პროგრამით. გოგონები.** 1. ანა ოდიშვილი, 2. მეგი ცხადაძე, 3. ანა ღლონტი. **ვაჟები.** 1. ლაშა გაბაშვილი, 2. გიორგი ენუქიძე, 3. ირაკლი ბეიტრიშვილი.

ბულგარეთის ქალაქ ვარნა 19-25 აპრილს ბატუტზე მხტომელთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. ჩვენებურთაგან იქ საასპარეზოდ გოლოვინა, კოშკაძე, გოგაშვილი, ჯანჯღავა, ღუჭაშვილი, ნოზაძე, კაკაშვილი და ზუტიკოვი გაემგზავრებიან.



ლუბა გოლოვინა

ინტერნეტიდან

## მანიაკი ოლიმპიელი

**ბაგამელ მსოფლიოს რეკორდსმენს სიგრძეზე ხტომაში კრეიგ ჰეპბერნს წაუყენეს ბრალდება ორ არასრულწლოვან გოგონასთან სექსისთვის.**

ამ ეპიზოდის კონკრეტული შეფასების გარეშე ბაგამის კუნძულების მძლეოსნობის ასოციაციის



პრეზიდენტმა მაიკლ სანდსმა განაცხადა: „მუდამ ცუდია, როდესაც ნებისმიერი ადამიანი კანონს ეწინააღმდეგება, მაგრამ ჩვენ მოვალენი ვართ ეს სპორტსმენები უდანაშაულოებად მივიჩნიოთ, ვიდრე საწინააღმდეგო არ დამტკიცდება.

როგორც კი მტკიცებულებებს წარმოადგენენ და სასამართლოც იმსჯელებს, ბუნებრივია, დამნაშავენი დაისჯებიან. მაგრამ ძალიან ცუდია, რომ ჩვენი სპორტსმენები ასეთ ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ“.

კრეიგმა მე-13 ადგილი დაიკავა ბარსელონაში და მხოლოდ სანტიმეტრი დააკლდა ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად.

## ჭორებმა საავადმყოფოში მიიყვანა

**სანამ არგენტინელი ფეხბურთელი მარტინ დე მიკელისი თანაგუნდელებთან ერთად ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში „მანჩესტერ იუნაიტედთან“ გამარჯვებისთვის იბრძოდა, მისი ერთგული ცოლი ევენგელინა ანდერსონი საავადმყოფოში მოხვდა.** არგენტინულ პრესას თუ დავუჯერებთ, ქალბატონი ბუენოს-აირესის ერთ-ერთ საავადმყოფოში მიიყვანეს ძლიერი ემოციური სტრესით მას შემდეგ, რაც იქაურ გაზეთებში ამოიკითხა, რომ თითქოს ეს წყვილი ერთმანეთს გაეყარა.



„არ მინდა დავიჯერო, რომ ადამიანებს შეიძლება ჰქონდეთ ისეთი სიავე, რომ ასეთი სისულელე დაწერონ“ – განაცხადა ლამაზმანმა, თუმცა ის დაარწმუნეს, რომ ეს პუბლიკაცია ჟურნალისტების მონაჭორია.

ხსოვნა

# გურამ კვერნაძე

ქართულმა საზოგადოებამ და ახლო მეგობრებმა დიდი დანაკლისი განიცადეს: სიცოცხლის 73-ე წელიწადს მოულოდნელად წავიდა ამ ქვეყნიდან ცნობილი ქართველი მანქანათმშენებელი, გამომგონებელი, საუცხოო მეგობარი, კარგი მეოჯახე, ქვეყნისათვის თავდადებული, დამსახურებული ინჟინერი, ღირსების ორდენის კავალერი გურამ ვარლამის ძე კვერნაძე.

დაიბადა ქ. ხონში. საშუალო განათლება იქვე მიიღო. წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და მუშაობა დაიწყო ქ. ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში ინჟინერ-კონსტრუქტორად.



იქ შეუმჩნეველი არ დარჩენილა მისი ნიჭი და გონიერება, რის გამოც მას მალე აწინაურებენ პასუხსაგებ თანამდებობაზე.

შემდგომში ბატონი გურამი საცხოვრებლად გადმოდის ქ. თბილისში. შემდეგ კი მოღვაწეობს ბოლნისში, სადაც სამი ათეული წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა იქაურ ნავთობბაზას. აქ, ისევე როგორც ყველგან, სადაც კი უმუშავია, ბატონი გურამი გამოირჩეოდა საუკეთესო პიროვნული და საქმიანი თვისებებით, რის გამოც საოცარი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. ამის დასტურია თუნდაც ის, რომ იგი ბოლნისის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს.

თუმცა მას არასდროს დავიწყნია თავისი მშობლიური ხონი და იქაური მეგობრები, განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენდა მათდამი. არც ხონელებმა დაუკარგეს ამაგი და იგი ხონის „უძლიერეს ათეულში" დაასახელეს.

ამას იმიტომ აღვნიშნავთ ხაზგასმით, რომ საზოგადოებრივი აზრის შესწავლით შედგენილ ამ ათეულში ხონელებმა ბატონი გურამი დაასახელეს ისეთი საამაყო ადამიანების გვერდით, როგორებიც იყვნენ თუნდაც ირაკლი აბაშიძე, ვასილ მჟავანაძე, იპოლიტე ხვიჩია, პოლიკარპე კაკაბაძე, კორნელი სანაძე და ა. შ.

განსაკუთრებით უნდა გამოიყოს ბატონი გურამის ცოცხალი და მიწყივ მაძიებლური ინჟინრული გონება, რაციონალიზატორული და საგამომგონებლო საქმიანობა. სწორედ ამის შედეგია ის 16 სხვადასხვა ტიპის ავტომობილი, რომლებიც მისი პროექტით შეიქმნა. მათ შორის განსაკუთრებული აღიარება მოიპოვეს 3-ხიდიანმა ავტომობილებმა „ივერიამ" და „თბილისმა", რომლებმაც მოსკოვში, სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ოქროს მედლები დაიმსახურეს.

ასევე ერთობ საყურადღებოა მის მიერ შექმნილი 3-ხიდიანი მაღალი გამავლობის სანიტარიული ავტომობილი, რომლის შექმნისთვისაც ბატონ გურამ კვერნაძეს მაშინდელი საკავშირო მანქანათმშენებლობის სამინისტროს მრავალი ჯილდო აქვს მიღებული.

ეს ყველგანმავალი ავტომობილები გათვალისწინებული იყო მთაგორიანი რელიეფისა და ფაქტობრივად გაუვალი გზებისთვის. უფრო მეტიც: საკავშირო მანქანათმშენებლობის მინისტრის 1991 წლის 3 იანვრის ბრძანებით ამ ტიპის სანიტარიული ავტომობილების სერიული წარმოებაც დაიწყო.

1998 წელს ბატონმა გურამმა თავისი ტრაგიკულად დაღუპული ერთადერთი ვაჟის — გიას სახელის უკვდავსაყოფად შექმნა სამხედრო დანიშნულების ქართული ავტომობილი „გია", რომელსაც შარშან მოდერნიზაცია გაუკეთა და „MS 425" უწოდა. ამ მანქანას 20 ადამიანის გადაყვანა, ორი ტონა ტვირთის გადატანა და 44-გრადუსიანი აღმართის დაძლევა შეუძლია. ეს შედეგი კი ასეთი ტიპის მანქანისთვის დიდი იშვიათობაა.

აი, რას წერდა თავის დროზე ჩეხოსლოვაკიური ჟურნალი „ვ მირე მოტოროვ": „დღეის მდგომარეობით, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, ასეთი ავტომობილი არ ყოფილა და დღემდე არც გამოდის, ხოლო თუ რამე მსგავსი მაინც გამოდის, ისინი მოძველებული კონცეფციისაა. ქართველი ინჟინრების ინიციატივით შექმნილი ყველგანმავალი მანქანის პროტოტიპი განუმეორებელია. მისი შექმნის იდეა და განხორციელება ეკუთვნის ცნობილ ქართველ მანქანათმშენებელს გურამ კვერნაძეს"...

„სანამ ჯანი და ღონე შემრჩენია, არ დავზოგავ თავს ჩემი ქვეყნის სამსახურში", — ამბობდა გურამი და დღენიადაგ იმაზე ფიქრობდა, რაც შეიძლება მეტი წვლილი შეეტანა ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში. საამისოდ ბევრი რამე გააკეთა და მეტსაც გააკეთებდა, რომ არა მოულოდნელი სიკვდილი...

ბატონი გურამ კვერნაძე იმ იშვიათ ადამიანთა რიგს მიეკუთვნებოდა, რომლებიც მხოლოდ თავისი თავისთვის არ ცხოვრობდნენ და არც მარტო თავის ახლობლებს უკვდებოდნენ. ამდენად, იგი, ჭეშმარიტად საქვეყნო მოღვაწე, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, მთელ ქვეყანას მოუკვდა.

თუმცაღა მისი მოულოდნელი გარდაცვალება მაინც ჩვენთვის, მისი მეგობრებისთვის, ყველასთვის, ვისაც მასთან ურთიერთობის ბედნიერება ჰქონია, არის განსაკუთრებით მძიმე, ძნელად გადასატანი.

იგი მეგობრობის ჭეშმარიტი ბურჯი იყო, საოცრად ყურადღებიანი, თანამდგომი, გაჭირვებულთა შემწე, ნიჭიერთა მხარდამჭერი და უნარიანი ახალგაზრდების გზის გამკვალავი... ამიტომაც იყო, რომ ყველგან, სადაც კი უმუშავია, მუდამ დიდი სიყვარულით, პატივისცემითა და ავტორიტეტით სარგებლობდა...

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. მსუბუქი ყოფილიყოს, ჩვენო გურამ, შენთვის ქართული მიწა, რომელიც საოცრად გიყვარდა!

თორნიკე აფაქიძე, ანზორ ბურჯანაძე, ბაკურ გულუა, როლანდ გაბრიჩიძე, რომან გვენცაძე, დავით ზეიკიძე, გივი ლომინაძე, გერმანე მეძმარიაშვილი, არჩილ მურღულია, ვალიკო (კუკური) როგავა, ჯუმბერ სურმავა, გრიგოლ შალამბერიძე, თამაზ ყურაშვილი, ზურაბ ჯაფარიძე, მერაბ ჯაფარიძე.

---

ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, ვილენ მარდალეიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა შესანიშნავი პიროვნება და მოქალაქე, ცნობილი გამომგონებელი და რაციონალიზატორი

გურამ კვერნაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს.

---

განცხადება

ქართული კომპანია იწვევს ქალბატონებს

გაყიდვების მენეჯერის ვაკანსიაზე. თავისუფალი სამუშაო გრაფიკით. კომპანია ახორციელებს გამოცდილი მკურნალი ექიმისა და კოსმეტოლოგის მაღალი დონის მომსახურებას უნიკალური ტექნოლოგიების გამოყენებით.

კომპანიის მენეჯერის ტელეფონები: 39-30-05, 893-66-02-26.

---

გახსენება

# მარლენ მეტრეველი



ჩვენო საყვარელო ძმაო მარლენ, გილოცავთ დაბადების დღეს 3 აპრილს. რომ იცოდე როგორ მენატრებით. დედას დაძახება მენატრება, მამას მოფერება, მოხუცებთან გულის დაცლა.

რომ იცოდეთ, როგორ მაკლიხართ. თბილისში ჩამოსვლისას გამორჩეულად მეკითხებოდი — მოხუცები როგორ არიანო? ახლა მე გეკითხები — როგორ არიან მოხუცები? ჩემი ფუთფუთა დედა და მამა.

შენი დაბადების დღეს სამივეს გილოცავთ, ნათელი და სანთელი არ მოგკლებოდეთ, ღმერთმა ნათელში გამყოფოთ და სასუფეველი დაგიმკვიდროთ.

მარლენ შენი ოჯახი იზრდება. ირინა ვაჟკაცურად უძღვება ოჯახს.

შენი დის ოჯახიც გაიზარდა. სიხარული და გამრავლება შემოვიდა ჩვენს ოჯახში. ალიკამ ცოლი მოიყვანა.

ჩემო საყვარელო ადამიანებო, თქვენი განვლილი შესანიშნავი ცხოვრებით და იმ დიდი სიკეთით, რომლითაც უფალმა დაგაჯილდოვათ, თქვენს ლამაზ სულებს სასუფეველში მიუჩენს ბინას. უსასრულო სიყვარულისთვის გაცხონოთ ღმერთმა. ჩვენ მოვალთ თქვენ საფლავზე, აგინთებთ სანთლებს და თქვენთვის ვილოცებთ ყველანი ერთად.

შენი და ნინო

---

განცხადება

იყიდება ჭურჭლის სარეცხი მანქანა „სიმენსი, ლედი-45", ფასი 300 ლარი. ტელ. 858 12 88 60.

---

გახსენება

გარდაიცვალა ღირსეული ქართველი მამულიშვილი, სამშობლოს და ერის დიდებისათვის გულანთებული პატრიოტი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი

# რამაზ ვალერიანის ძე ქოჩორაძე



რამაზ ქოჩორაძე დაიბადა 1951 წლის 5 მაისს, ქ. თბილისში, ინტელიგენტის ოჯახში. ბავშვობა მთაწმინდაზე გაატარა. სწავლობდა ქ. თბილისის №1 საშუალო სკოლაში, რომელიც 1968 წელს დაამთავრა. თორმეტი წლის ასაკში მიღებული ტრავმის გამო 15 ოპერაციის გაკეთება დასჭირდა ხერხემალზე (თბილისში, მოსკოვში, გერმანიაში), მაგრამ უშედეგოდ. იგი 1963 წლიდან ინვალიდის სავარძელს მიეჯაჭვა სიცოცხლის ბოლომდე.

რამაზ ქოჩორაძეს, მიუხედავად დიდი ტკივილებისა, ცხოვრების იმედი მაინც არ დაუკარგავს. მან 1968 წელს წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები ივ. ჯავახიშვილის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც წითელ დიპლომზე დაამთავრა ეკონომისტის კვალიფიკაციით. 1975-1988 წლებში მუშაობდა სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებაში ეკონომისტად. 1988 წლის ოქტომბერში მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად. 1994 წელს დაიცვა სამეცნიერო საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ქალაქ თბილისის საქალაქო ტრანსპორტის განვითარების ისტორია", რომელმაც მაღალი შეფასება დაიმსახურა.

რამაზ ქოჩორაძის ნიჭი და პატრიოტული სულისკვეთება ყველაზე მეტად ეკონომიკის ინსტიტუტში გამოვლინდა. რამაზმა ჯერ ინსტიტუტის ეკონომისტთა შორის შეკრა მეგობრობის ჯაჭვი, ხოლო მას თანდათან სხვა პროფესიის ადამიანებიც მიამატა და შექმნა ერთიანი დიდი სამეგობრო, რომლის უპირველესი მიზანი სამშობლოს ტკივილზე (9 აპრილი, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვა, ქართველთა შიდა შუღლი, ეკონომიკის მოშლა, სულიერების დეგრადაცია და ა. შ.) მსჯელობა და გამოსავლის ძებნა იყო. ყოველივე ამას იგი წარმართავდა გაწონასწორებულად, დინჯად. შემდეგ ეს ბაასი ქართულ სუფრასთან გრძელდებოდა, მან ყოველთვიური რიგითობა დააწესა მეგობრებს შორის ქართული სუფრის გასაშლელად. წითელი ღვინო, გიტარა, სიმღერა და სადღეგრძელო იყო მისი უპირველესი გატაცება. მღეროდა ბრწყინვალედ. ყოველი ორი სიმღერის შემდეგ სადღეგრძელოს წარმოსთქვამდა. სადღეგრძელო კი სამშობლოს, სიყვარულსა და ცხოვრების იმედს ეხებოდა.

1994 წელს მან თბილისში ვეღარ გაუძლო უშუქობას, სიცივეს, პურის რიგებს და მოსკოვს მიაშურა. მან ინვალიდის ეტლის გარშემო შემოიკრიბა გულიანი მართლმადიდებელი რუსები და ქართულ-რუსული სამეგობრო შექმნა. რამაზმა, ქართული სიმღერებითა და რუსული რომანსებით მოხიბლულ მოსკოველ ოლია გუსკოვას ხელი სთხოვა... უმშვენიერესი ოლია არც კი დაფიქრებულა, ისე გაჰყვა ცოლად. რამაზ ქოჩორაძემ მეუღლესთან ერთად ქართულ-რუსული კერა შექმნა მოსკოვში მარშალ გ. ჟუკოვის პროსპექტზე. ამ კერაზე 1000 ქართველ და რუს კაცს ძმობა აქვთ შეფიცული, ქალბატონებს კი დობა და მეგობრობა.

რამაზ ქოჩორაძემ იურისტი მეუღლის კონსულტაციით დამოუკიდებელი ფირმა „მედვუდი" დააარსა 1995 წელს, რომელმაც ბიზნეს-ოპერაციები წარმართა: მოსკოვსა და ესპანეთს, ესპანეთსა და ჰოლანდიას, ჰოლანდიასა და საქართველოს შორის. ბიზნესი სამედიცინო წამლებს და ქართულ წითელ ღვინოს მოიცავდა. მოსკოვში მოღვაწემ, ინვალიდის ეტლს მიჯაჭვულმა ყვარლის რაიონში 60 ჰა მიწა იყიდა და „საფერავის" ჯიშის ყურძენი გააშენა. დაწურული ღვინო კი ჰოლანდიაში გაიტანა ექსპორტად.

რამაზს უფალმა დიდი სიურპრიზი მოუწყო 2000 წლის 14 იანვარს (ძველით ახალ წელს), როცა 3 ტყუპი: გიორგი, ნინო და ოლღა შეეძინა.

რამაზ ქოჩორაძე — 2000-2010 წლები თავის მშვენიერ მეუღლესთან, შვილებთან და მეგობრულ სამყაროსთან ერთად ბიზნესით ცხოვრობდა, მაგრამ ტკივილები თანდათან აუტანელი გახდა.

2010 წლის 24 თებერვალს განგებამ რამაზ ქოჩორაძე მოლიპულ გზაზე შეაყენა...

ამჯერად ფილტვებმა უმტყუნა!

59 წლისა რამაზ ქოჩორაძე ქ. მოსკოვში გარდაიცვალა, როგორც მოსკოველებმა გასვენებაზე ბრძანეს „Человек праздник" მაგრამ დარჩა უკვდავება, რომელიც ეფუძნება რამაზის გმირობას. მან 12 წლიდან მოყოლებული, თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე სძლია გასაჭირს, დიდ ტკივილებს და სიკვდილს, და თუ მისი სხეული მიწაში ჩაესვენა მისი და ერის შვილების ფესვთ საკმეველად, მისი დიადი სული მეორმოცე დღეს — 4 აპრილს, აღდგომა დღეს ზეცად ამაღლდება. ეს უფლის წყალობაა!

ამ ქვეყანაზე კი მისი სახელი დარჩება როგორც მეგობრობისა და გმირობის სიმბოლო.

ძალზე ვწუხვართ შენს დანაკლისს ჩვენო რამაზ, მაგრამ გილოცავთ:

ქრისტე აღსდგა!
ქრისტე აღსდგა!
ქრისტე აღსდგა!

სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი. ამინ!

ვალერიან ადვაძე, რამაზ აბესაძე, თამაზ აქუბარდია, გოგი ბათიაშვილი, ვაჟა ბერიძე, თეიმურაზ ბერიძე, გიორგი ბრეგვაძე, დალი გოგიაშვილი, მაკა გოგიაშვილი, ლეილა გუგუშვილი, ნუკრი ზაქარიაძე, ზურაბ კაპანაძე, ოლღა კრავჩუკი, მიხეილ თოქმაზიშვილი, ტარიელ ლოლაძე, უჩა მამაცაშვილი, დავით მირიანაშვილი, კონსტანტინე ნიჟარაძე, ზაზა ნიშნიანიძე, მარინა ნაზაროვი, ალექსანდრე ოგანესოვი, ვლადიმერ პაპავა, გივი სანაძე, ერეკლე სალლიანი, ამირან სხირტლაძე, ამირან სულაბერიძე, გიორგი სტეფანიშვილი, ნოდარ ულუმბერაშვილი, მარიეტა ხარბედია, როზეტა ცხადაია, ლეო ჩიქავა, ზურაბ ჭელიძე, მიხეილ ჯიბუტი.

## სულიერება

# გილოცავთ ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას!



4 აპრილს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია, თითოეული ქართველი მართლმადიდებელი დღესასწაულობს უდიდეს საუფლო დღესასწაულს – იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომას.

...დიდ შაბათს ნაშუაღამევს, ქრისტეს საფლავის მცველებმა მოულოდნელად იგრძნეს მიწისძვრა და იმწამსვე დაინახეს ანგელოზი ელვარე სამოსელით, რომელმაც საფლავის კარიდან ლოდი გადააგორა და იქვე ჩამოჯდა.

ქრისტე აღსდგა!

...აღდგომის შემდეგ 40 დღე დარჩა ქვეყანაზე და ბევრჯერ გამოეცხადა მოწაფეებს, რომლებიც დარწმუნდნენ, რომ აღსდგა მათი მოძღვარი იესო ქრისტე.

ახლა, ცოტა რამ სააღდგომო კვერცხის წითლად შეღებვის ტრადიციის შესახებ. ეს ჩვეულება ძალიან ძველია... ამაღლებამდე მაცხოვარმა მოწაფეები, რომელთა შორის მარიამ მაგდალინელიც იყო, სხვადასხვა ქვეყანაში დაგზავნა საქადაგებლად, მარიამი რომში ჩავიდა და პირდაპირ იმპერატორ ტიბერიუსის სასახლისკენ გაემართა. ქალი, როგორც წარჩინებული გვარის ჩამომავალი და ცნობილი პიროვნება, იმპერატორთან დაუბრკოლებლად შეუშვეს. მან რომის მბრძანებელს კვერცხი მიართვა ძღვნად და მაცხოვრის აღდგომა ახარა. „მკვდარმა აღდგომა როგორ შეძლო?! ამის დაჯერება ისევე ძნელია, როგორც ამ თეთრი კვერცხის გაწითლება!“ – წამოიძახა ტიბერიუსმა, მაგრამ სიტყვა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ კვერცხმა ფერი იცვალა – ჯერ ვარდისფერი გახდა, შემდეგ გაწითლდა...

ეს წითელი ფერი ჩვენი სულიერი სიხარულის, ზეიმის გამოხატულებაა, იესო ქრისტეს მიერ სიკვდილის ძლევის, მისი მკვდრეთით აღდგომისა და ჩვენი ხსნის საქმეთა აღსრულების გამო.

ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილისა სიკვდილითა დამთრგუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი!

**გიული ლიპარტია**

## დღის კალენდარი

### 3 აპრილი

დიდი შაბათი. ღირსისა იაკობ აღმსარებლისა, ეპისკოპოსისა (VIII-IXს; კირილესი, კატანელი ეპისკოპოსისა (I-IIს; თომასი, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა (610ს.



ამოდის 05.41
ჩადის 18.28



ამოდის 23.47
ჩადის 07.55

### დაიბადნენ:

**1783 – ირვინგ ვაშინგტონი,** ამერიკელი მწერალი. გარდაიცვალა 1856 წელს.

**1904 – ნატო ვაჩნაძე,** კინომსახიობი. გარდაიცვალა 1953 წელს.

**1917 – გიორგი ნაფეტვარიძე,** პოეტი. გარდაიცვალა 1942 წელს.

**1930 – ჰელმუტ კოლი,** გერმანელი პოლიტიკოსი. 1982-1990 წლებში დასავლეთ გერმანიის კანცლერი, ხოლო შემდეგ გაერთიანებული გერმანიის კანცლერი.

### გარდაიცვალნენ:

**1553 – ფრანსუა რაბლე,** ფრანგი მწერალ-ჰუმანისტი და მეცნიერი.

**1682 – ბარტოლომეო მურილიო,** ესპანელი მხატვარი.

**1897 – იოჰან ბრამსი,** გერმანელი კომპოზიტორი, პიანისტი, დირიჟორი.

**1946 – ალექსანდრ ალიოხინი,** რუსი მოჭადრაკე, მსოფლიო ჩემპიონი.

**1991 – გრემ გრინი,** ინგლისელი მწერალი.

### მოვლენები:

1502 – დაიწყო ქრისტოფორე კოლუმბის მეოთხე ექსპედიცია.

1922 – ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნად აირჩიეს 43 წლის იოსებ სტალინი, რომელმაც ამ თანამდებობაზე 31 წელი დაჰყო.

1948 – აშშ-ს კონგრესმა დაამტკიცა „მარშალის გეგმა“, რომლის თანახმად ევროპის 17 ქვეყანამ შეერთებული შტატებისგან 4 წლის მანძილზე დახმარების სახით მიიღო 13,15 მილიარდი დოლარი.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**საბავშვო წიგნის საერთაშორისო დღე.**

**ბელორუსი, რუსეთი** – ხალხთა გაერთიანების დღე.

**არგენტინა** – მალვინის კუნძულების დღე.

**მედიანიუსი**

„ოჯახის მკურნალი“
ჰომეოპათიის (თ. ალაშვილი – დირექტორიძ, ქართული ტრადიციული მედიცინის (ნ. ნაჭყებიაძ, ბავშვთა მანუალური თერაპიის (თ. მიმინოშვილიძ, მასაჟის და სამკურნალო ფიზკულტურის კლინიკა
რუსთაველის 28/ალ. ჭავჭავაძის 2ა, 98-64-86, 98-99-55, (899ძ 55-99-61.
www.alashvili.com

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 7 აპრილს

## დაიჯესტი

### „დამპურებელი“ გამოცანა

**იდუმალი მოვლენის შესახებ, რომელმაც სახელი გაუთქვა საბერძნეთის ქალაქ ჰალიკისს, ჯერ კიდევ პლინიუსი და სტრაბონი წერდნენ. მის ახსნას ამაოდ ცდილობდა არისტოტელე. საქმე ის არის, რომ ევოიკოსისა და ევრიპოს სრუტეების შემაერთებელ ვიწრო არხში ყოველ 6 საათში დინება... მიმართულებას იცვლის. ყველაზე კარგად ამის დანახვა არხზე გადებული ხიდიდან შეიძლება: წყალი ჯერ მდორედ მიედინება, შემდეგ უცბად აქაფდება და... საწინააღმდეგო მიმართულებით იწყებს დინებას.**



ძველი დროის ეს გამოცანა სადღეისოდაც გამოუცნობი რჩება, ყოველ შემთხვევაში ქალაქის მცხოვრებნი ფენომენს ვერაფრით ხსნიან. მრავალი ვერსიის მიუხედავად, ერთიანი ახსნა მაინც არ არის. არადა, არ არის გამორიცხული, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებს არც აწყობთ მისი ახსნა – არხის გასწვრივ სანაპიროზე უამრავი მყუდრო კაფე, ბარი და პატარა რესტორანია, რომელშიც მუდამ ხალხმრავლობაა, რადგან ყოველწლიურად აქ ზღვა ტურისტი ჩამოდის. განა რა სჯობს მშვენიერი ბერძნული არყის „უზოს“ ან კონიაკის „მეტაქსას“ წრუპვას და იმ მოვლენით ტკბობას, რომელსაც თვით დიდმა არისტოტელემაც ვერ მოუნახა ახსნა?

### როცა დამნაშავეა... ცხოველი

**საარქივო მასალებით თუ ვიმსჯელებთ, სასამართლო პროცესები ცხოველების წინააღმდეგ პირველად XIV საუკუნეში დაიწყო. 1313 წელს საფრანგეთის ერთ-ერთ ქალაქში სადგომიდან გამოქცეულმა ხარმა მამაკაცი აიცვა რქებზე. არაგონის მეფე ვალუამ ხარის დაკავების ბრძანება გასცა. მოწმეთა ჩვენებებმა დაადასტურეს მკვლელობის ფაქტი და ხარსაც... ჩამოხრჩობა მიუსაჯეს.**

1386 წელს კი პარიზში ღორს, რომელმაც ბავშვი შეჭამა, სასამართლომ ორმაგი სასჯელი მიუსაჯა: ერთი იმისთვის, რომ მან ბავშვი დაჭრა, რისთვისაც ფეხებისა და თავის მოკვეთის განაჩენი გამოუტანეს, ხოლო იმისთვის, რომ მან შეჭამა ეს ბავშვი, მას ადამიანის ტანსაცმელი ჩააცვეს და ქალაქის მოედანზე სიკვდილით დასაჯეს.



## ანეკდოტები

სახლში გვიან დაბრუნებულ მთვრალ მიხოს ცოლი ეჩხუბება.

– ისევ ეშმაკებში დაეთრეოდი, არა?!

– მარო, შენ მათაც ხედავ?!

* * *

საქართველოში დემოკრატიის შესახებ ქვეყნის ხელმძღვანელები ან კარგს ლაპარაკობენ, ან – არაფერს.

* * *

დიდი ბირთული კოლაიდერის ყოველი წარუმატებელი გამოცდის შემდეგ იმ ფიზიკოსთა რიცხვი, რომელთაც ღმერთის არსებობა სწამთ, ორმაგდება.



* * *

ჩვენი ქვეყნის ეროვნული სიმდიდრეები რამდენიმე ძირითად ტიპად იყოფა. არაძირითადი ოთხი მილიონი გაყოფაში არ მონაწილეობს.

* * *

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მოსალოდნელია ცვლილებები. ყოველ სტატიაში სიტყვების შემდეგ „...ისჯება თავისუფლების აღკვეთით ... წლიდან ... წლამდე“ ფრჩხილებში ჩაიწეროს: „თუ განსასჯელ პირებს საერთოდ არა აქვთ ფული“.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.